

**ადგილობრივი  
ეკონომიკის  
გამონავივები  
COVID-19-ის  
პანდემიის  
პირობებში**



### ავტორები:

მიხეილ თოქმაზიშვილი  
დავით ბასიაშვილი

### საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია




კვლევის ანგარიში „ადგილობრივი ეკონომიკის გამონწვევები COVID-19-ის პანდემიის პირობებში“ მომზადებულია საქართველოს თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (ათეას) მიერ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) „**რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში, ფაზა 2**“ პროექტის მხარდაჭერით. პროექტი ხორციელდება შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC), ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) და საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციების მოსაზრებებს.

# სარჩევი



- 4 მოკლე მიმოხილვა
- 5 შესავალი
- 6 საქართველოს ეკონომიკა COVID-19-ის პერიოდში — ზოგადი მიმოხილვა
- 8 კვლევის მეთოდოლოგია
- 11 COVID-19-ის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე: შედარებითი ანალიზი
- 15 COVID-19-ის გავლენა საქართველოს რეგიონებზე: შედარებითი ანალიზი
- 22 COVID-19-ის გავლენა მცირე ბიზნესსა და მშენებლობაზე
- 25 COVID-19-ის გავლენა რეგიონების სოფლის მეურნეობასა და შინამეურნეობებზე
- 26 COVID-19-ის გავლენა დასაქმებაზე
- 32 COVID-19-ის გავლენა ტურიზმზე
- 35 COVID-19-ის პირობებში ბიზნესის მხარდაჭერის მექანიზმები და ხელისუფლების როლი
- 44 დასკვნები და რეკომენდაციები
- 47 რეკომენდაციები
- 49 გამოყენებული ლიტერატურა



## მოკლე მიმოხილვა

კვლევაში წარმოდგენილია COVID-19-ის გავრცელებით გამოწვეული პანდემიის ზემოქმედება საქართველოს რეგიონების ეკონომიკაზე, კერძოდ, მაკროეკონომიკურ გარემოზე, მენარმეობაზე, დასაქმებასა და სოციალურ ცხოვრებაზე. კვლევის შედეგების თანახმად, რეგიონებზე მისი ზემოქმედება განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ რა ეკონომიკურ სტრუქტურაზე არის ორიენტირებული მუნიციპალიტეტებში ეკონომიკური საქმიანობა. მაგალითად, საერთაშორისო ტურიზმზე ორიენტირებული რეგიონების სამენარმეო საქმიანობაზე პანდემიის გავლენა ღრმაა, მიწოდების ჯაჭვის მეშვეობით გადაედინება სხვა დარგებში და აზარალებს მასთან დაკავშირებულ წარმოებას.

კვლევა, რომელიც საქართველოს რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების ეკონომიკის 2020 წლის პირველი ნახევრის შეფასებას ემყარება, ადასტურებს, რომ ეპიდემიის ზემოქმედების შედეგად წლის პირველ ნახევარში ყველაზე დიდი ზიანი იმ რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებს მიაღწა, სადაც ყველაზე მაღალი იყო ტურისტების შემოდინება და რომლებიც მეტად იყვნენ დამოკიდებული უცხოელ ტურისტებზე. ბიზნესსექტორში შედარებით სტაბილური აღმოჩნდა საშუალო ზომის საწარმოები. ამავე პერიოდში ბიზნესსექტორის ბრუნვა გაიზარდა სოფლის მეურნეობაში, სადაც შინამეურნეობებთან ერთად, საქმიანობა მიმდინარეობდა ჩვეული ტემპით. ხელისუფლების მიერ იპოთეკური სესხების დაფინანსების პოლიტიკამ შექმნა პოზიტიური მოლოდინი, რომელმაც მნიშვნელოვნად იმოქმედა მშენებლობის სექტორის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებაზე. გარდა ამისა, როგორც ე.წ. მწვანე, ისე ეპიდემიურად ინტენსიურ მუნიციპალიტეტებში სამენარმეო აქტივობის შემცირება ადამიანების გადაადგილების შეზღუდვასთან ერთად ბიზნესის დისტანციურად მართვისთვის არსებული არასაკმარისი რესურსებით იყო განპირობებული. პანდემიის გავლენა ძლიერია უპირატესად მცირე საწარმოებში, სადაც შრომატევადი პროდუქცია იწარმოება.

კვლევაში პანდემიის წინააღმდეგ ქმედით მექანიზმად გამოვლინდა:

- ა) ბიზნესსექტორში ყველაზე მაღალმოთხოვნადი სახელმწიფოს მხარდამჭერი ანტიკრიზისული ღონისძიებები, გადასახადების გადავადება და სესხებში თანამონაწილეობა, თუმცა მისი ეფექტიანობა დროთა განმავლობაში დაიკლებს;
- ბ) დისტანციური ურთიერთობა მომხმარებლებთან და ბიზნესპარტნიორებთან, რომლის რესურსებსაც მომავალში მხარდაჭერა სჭირდება. აღნიშნულია, რომ მცირე და საშუალო მენარმეებს, რომლებსაც დისტანციურად საქმიანობის გაგრძელება შეუძლიათ, არ გააჩნიათ საკმარისი რესურსი, გარდა ტურიზმის სფეროსი, რომელიც შედარებით უკეთესად არის შეიარაღებული თანამედროვე ინტერნეტ ტექნოლოგიებით მომხმარებლებთან ურთიერთობებში;
- გ) სტრატეგიული მართვის განვითარება, რომელიც ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას დაეფუძნება. იგი საზოგადოებაში შესაბამისი ცნობიერების ფორმირებას მოითხოვს. ამ სფეროში ცენტრალური ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტების მიერ მენარმეების ხელ-

შენიშნება სხვადასხვა ინსტიტუციური და ორგანიზაციული მექანიზმით (პროექტების ხელშეწყობა, მენარმეთათვის კონფერენციებისა და ტრენინგების ორგანიზება, ინფორმაციული ტექნოლოგიების ექსპერტების მოზიდვა ციფრული ეკონომიკის გასავითარებლად და სხვ.) უზრუნველყოფს ანტიკრიზისული მართვის ბერკეტების დანერგვას მუნიციპალიტეტების ეკონომიკურ საქმიანობაში.



## შესავალი

კორონავირუსი, რომელიც 2019 წლის ბოლოს დაფიქსირდა ჩინეთში, საგანგაშო სიჩქარით გავრცელდა მთელ მსოფლიოში. 2020 წლის 30 იანვარს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კორონავირუსი 2019-2020 წწ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის საერთაშორისო საფრთხედ გამოაცხადა, 11 მარტს კი — პანდემიად. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის მთავრობებმა კორონავირუსის გავრცელების შესაჩერებლად მიმართეს გადამწყვეტ ზომებს — ქვეყნების საზღვრების ჩაკეტვას, კარანტინის შემოღებას, გადაადგილების შეზღუდვებს, სანიტარიული ნორმების დანერგვას და სხვა, რამაც ქვეყნების ეკონომიკის სპონტანური შემცირება განაპირობა.


კორონავირუსით გამოწვეული ეკონომიკური ზიანი უკვე აშკარაა და წარმოადგენს ყველაზე დიდ ეკონომიკურ შოკს, რომელიც მსოფლიომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში განიცადა.

2020 წლის ივნისში მსოფლიო ბანკის ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის — „გლობალური ეკონომიკური პერსპექტივები“ — თანახმად, მიუხედავად უპრეცედენტო პოლიტიკის მხარდაჭერისა, რომელსაც ახორციელებენ ქვეყნის მთავრობები, ეს იქნება ყველაზე ღრმა გლობალური რეცესია ბოლო რვა ათწლეულში. საბაზისო პროგნოზების მიხედვით, 2020 წელს მოსალოდნელია მსოფლიო ეკონომიკის 5.2 პროცენტით შემცირება<sup>1</sup>.

ყველაზე მწვავედ რეცესია ასახვას პოვნის განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაზე, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების შემცირებაზე. თუკი პანდემია ხანგრძლივად გაგრძელდება, მის დამარცხებას ბევრი დრო და შესაბამისი ფინანსები დასჭირდება, რაც უფრო გაამწვავებს გლობალური რეცესიის პროცესს, ფინანსური სტრესი კი ეჭვის ქვეშ დააყენებს ქვეყნების გადახდისუნარიანობას და შედეგად ქვეყნები შესაძლებელია დეფოლტის საფრთხის წინაშეც კი დადგნენ.

პანდემიის გამოცხადებიდან მოკლე დროში მსოფლიოში დაუყოვნებლივ იჩინა თავი რეცესიის პროცესისათვის დამახასიათებელმა და თანმდევმა ისეთმა მოვლენებმა როგორებიცაა: ფასების ზრდა, სუსტი ვალუტების კურსის ვარდნა, ინვესტიციების შემცირება, უმუშევრობის ზრდა. პანდემიის შედეგები განსაკუთრებით მძიმედ აისახა იმ ქვეყნებზე, რომლებსაც სუსტი ჯანდაცვის სისტემა აქვთ და საგარეო ვაჭრობაზე, ტურიზმზე ან უცხოურ გზავნილებზე არიან დამოკიდებულნი.

<sup>1</sup> Global Economic Prospects, World Bank Group, June 2020.



## საქართველოს ეკონომიკა COVID-19-ის პერიოდში – ზოგადი მიმოხილვა

26 თებერვალს, საქართველომ დაადასტურა COVID-19-ის პირველი შემთხვევა. რადგან COVID-19 მთელ მსოფლიოში ვრცელდებოდა, წლის პირველ ნახევარში პანდემიის საწინააღმდეგოდ მიღებული იქნა სერიოზული ზომები: საქართველოს საერთაშორისო აეროპორტებში, თავდაპირველად ჩინეთიდან და ირანიდან, შემდგომ სხვა ქვეყნებიდან ყველა ფრენა გაუქმდა. ქვეყანაში დაიკეტა საზღვრები, დაიხურა დიდი სავაჭრო ცენტრები, რესტორნები და ბარები, შეჩერდა ადგილობრივი საავტობუსო და სარკინიგზო მიმოსვლა, შეიზღუდა ავტომანქანებით გადაადგილება. სასწავლო დაწესებულებები გადავიდა სწავლების დისტანციურ რეჟიმზე. აიკრძალა საქართველოში ნებისმიერი უცხო ქვეყნის მოქალაქის შემოსვლა მომდევნო ხუთი თვის განმავლობაში. მთავრობამ დახურა სანარმოები, საავადმყოფოების, სააფთიაქო და კვების მაღაზიების გარდა. შედეგად გაიზარდა უმუშევრობის დონე, შემცირდა მცირე და საშუალო ბიზნესის საქმიანობა ან საერთოდ შეჩერდა. ვირუსის ფართოდ გავრცელების საშიშროების გამო მაისის თვეში მარნეულის, ბოლნისის მუნიციპალიტეტები, ხოლო აგვისტოში – მესტიის მუნიციპალიტეტი იმყოფებოდა მკაცრ საკარანტინო რეჟიმში. პანდემიის გავრცელების პარალელურად ინიცირებული იქნა კრიზისიდან გამოსვლის და ეკონომიკის წახალისების პროგრამები.

პანდემიის საწინააღმდეგო ღონისძიებების საფუძველზე საქართველოში ეპიდემიის გავრცელება ზომიერად და ვირუსით დაავადებულთა ძალიან დაბალი მაჩვენებლებით წარიმართა. 7 სექტემბრის მდგომარეობით საქართველოში დაფიქსირებული იქნა 1650 ინფიცირების შემთხვევა, გამოჯანმრთელებული ადამიანების რიცხვმა შეადგინა 1310, ხოლო გარდაცვლილთა რიცხვმა 19 ადამიანი, მაშინ როდესაც მსოფლიოში შესაბამისად დაფიქსირდა ვირუსის 24.7 მილიონი შემთხვევა, 19.4 მილიონი გამოჯანმრთელებული და 887.6 ათასი გარდაცვლილი<sup>2</sup>. მიუხედავად ამისა, პირველი ორი თვის განმავლობაში ქვეყანაში გარკვეული პერიოდით არსებულმა საგანგებო მდგომარეობამ და კარანტინმა, ასევე სატრანსპორტო მიმოსვლის გახანგრძლივებულმა შეზღუდვებმა და სხვა აუცილებელმა ანტიპანდემიურმა ღონისძიებებმა საკმაოდ დიდი დარტყმა მიაყენა ეკონომიკას. ეკონომიკა გადავიდა რეცესიულ მდგომარეობაში. მნიშვნელოვნად შენედა მშპ-ის ზრდის ტემპი.

პანდემიის შედეგად ერთობლივი მოთხოვნისა და წარმოების შემცირების ფონზე გაიზარდა ინფლაცია. წინა წლის დეკემბერთან შედარებით ინფლაციის ზრდის ტემპმა 6.1 პროცენტი შეადგინა. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის მიერ ძირითად სასურსათო პროდუქციაზე ფასების ზრდის შესამცირებლად შემოღებული იქნა სუბსიდირება, ადგილი ჰქონდა ფასების ზრდას. ფასების ზრდამ სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე შეადგინა 13.4 პროცენტი, რაც განსაკუთრებით უარყოფითად აისახა რეგიონების ღარიბ ფენებსა და მოწყვლად მოსახლეობაზე. ინფლაციის მაჩვენებელი შედარებით მაღალი იყო ზუგდიდში (შეადგინა 8.8 პროცენტი) და ყველაზე დაბალი – თბილისსა და ბათუმში (5.7 პროცენტი). შემცირდა ფასები დასვენებაზე, გართობასა და კულტურაზე, რაც პანდემიის პირობებში ტურიზმის ჩავარდნამ განაპირობა. მოთხოვნა ამ სფეროში განსაკუთრებით შემცირდა, თუმცა რესტორნებსა და სასტუმროებში ფასები გაიზარდა 8.9 პროცენტით, რაც ძირითადად სურსათის გაძვირებითა და

<sup>2</sup> COVID-19 CORONAVIRUS PANDEMIC, Worldometer, <https://www.worldometers.info/coronavirus/>



ამ სფეროების საქმიანობის სანიტარიულ-ჰიგიენურ პირობებზე დაწესებული მოთხოვნით იყო განპირობებული.

გაიზარდა სამრეწველო პროდუქციის ინდექსი. მან 2020 წლის მეორე კვარტლის ბოლოს შეადგინა 2 პროცენტი. განსაკუთრებით გაიზარდა ფასები ფარმაცევტულ პროდუქციაზე — 9.3 პროცენტით. ფასების ზრდა ნაწილობრივ, ეროვნული ვალუტის გაუფასურებით იყო განპირობებული.

ეროვნული ვალუტა 2020 წლის 8 თვის განმავლობაში, წინა წელთან შედარებით გაუფასურდა 10.7 პროცენტით. მოსალოდნელია, რომ მომავალ კვარტლებში ფასები შეფარდებითად შემცირდება მოთხოვნის შემცირების გამო. თუმცა, სავარაუდოდ, საქართველოს ეროვნული ბანკის პროგნოზით, იგი 3 პროცენტზე მაღალი იქნება<sup>3</sup>.

საქართველოს ეკონომიკაზე გავლენას ახდენს ასევე მეზობელ ქვეყნებში არსებული კრიზისული ვითარებაც. საქართველოს მოქალაქეთა ნაწილი, რომლებიც საზღვარგარეთ სეზონურად იყვნენ დასაქმებული და დაუბრუნდნენ თავიანთ ქვეყანას, აგვისტოდან საჭაერო მიმოსვლის აღდგენის მიუხედავად, ქვეყნებში დაწესებული მკაცრი შეზღუდვების გამო ნაკლებად შეძლებენ ქვეყნიდან გამგზავრებას. შესაბამისად, ისინი და მათი ოჯახის წევრები შემოსავლის გარეშე დარჩნენ. აღსანიშნავია, რომ 2019 წლის მონაცემებით მარტო თურქეთში სეზონურად დასაქმებულთა რიცხვი შეადგენდა 40 ათას ადამიანს<sup>4</sup>.

ეკონომიკის შემცირებაზე გავლენა მოახდინა **ფულადი გზავნილებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირებამაც**. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2020 წლის პირველ ნახევარში ფულადი გზავნილები შემცირდა დაახლოებით 10 პროცენტით, ყველაზე მეტად შემცირდა რუსეთიდან გზავნილები (27 პროცენტით). საქართველოში ბოლო ათწლეულში ფულადი გზავნილები საშუალოდ 8,5 პროცენტით იზრდებოდა. მისმა მკვეთრმა შემცირებამ განსაკუთრებით იმოქმედა ერთობლივი მოთხოვნის შემცირებაზე და საგადაამხდლო ბალანსის დეფიციტზე. მან, თავის მხრივ, ეროვნულ ვალუტაზეც უარყოფითად იმოქმედა.

2020 წლის პირველ ნახევარში 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით **პირდაპირი უცხოური ინვესტიციები** თითქმის განახევრდა, ხოლო საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2020 წლის პირველ ნახევარში შეადგინა წინა წლის ანალოგიური მაჩვენებლის 70 პროცენტი<sup>5</sup>.

არსებული გაურკვევლობა პანდემიის ხანგრძლივობის გარშემო კიდევ უფრო აფერხებს კაპიტალის შემოდინებას, ინვესტიციებს და ასუსტებს შიდა მოთხოვნილებას.

ეკონომიკის შემცირების შედეგად მცირდება **ბიუჯეტის** საგადასახადო შემოსავლები, ხოლო კრიზისის უარყოფითი ზეგავლენის შესამსუბუქებლად ბიუჯეტის ხარჯები გაიზარდა შეღავათიანი საგარეო სესხების ხარჯზე. მიმდინარე წლის ივლისში ბიუჯეტის მთლიანი შემოსულობების 55.6 პროცენტი სწორედ ვალების აღებით ფორმირდა, რასაც მომავალში მრავალი მაკროეკონომიკური პრობლემის წარმოშობა შეუძლია.

ამ ეტაპზე ძნელია იმ დანაკარგის ზუსტად დაანგარიშება, რაც პანდემიით მიადგა ქვეყანას. ასევე ძნელია იმის განსაზღვრა, თუ რამდენ ხანს გასტანს ეს მდგომარეობა. აშკარაა, რომ მსოფლიოში კორონავირუსის შედეგად ეკონომიკის დაცემა გრძელდება<sup>6</sup>, ხოლო გამოჯანსაღე-

<sup>3</sup> მონეტარული პოლიტიკის ანგარიში, მაისი, 2020, საქართველოს ეროვნული ბანკი, [https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/\\_moneratyfiscal/2020/2020q2\\_geo\\_080520.pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/_moneratyfiscal/2020/2020q2_geo_080520.pdf)

<sup>4</sup> ზურაბ ბატიაშვილი, კორონავირუსით გამოწვეული სირთულეები თურქეთში და მისი ასახვა საქართველოზე, რონდელის ფონდი, 2020.04.13, <https://www.gfsis.org/ge/blog/view/1065>

<sup>5</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-in-vestitsiebi>

<sup>6</sup> Krugman, P. The New York Times Opinion, August, 25.2020. [https://messaging-custom-newsletters.nytimes.com/template/oakv2?-campaign\\_id=116&emc=edit\\_pk\\_20200825&instance\\_id=21590&nl=paul-krugman&productCode=PK&regi\\_id=111212561&segment\\_id=36891&te=1&uri=nyt%3A%2F%2Fnewsletter%2F3919b3b0-93aa-5035-a68b-7b5dc278cd46&user\\_id=b51cbaa4596c28cdf-168c7b9fc3ba8b](https://messaging-custom-newsletters.nytimes.com/template/oakv2?-campaign_id=116&emc=edit_pk_20200825&instance_id=21590&nl=paul-krugman&productCode=PK&regi_id=111212561&segment_id=36891&te=1&uri=nyt%3A%2F%2Fnewsletter%2F3919b3b0-93aa-5035-a68b-7b5dc278cd46&user_id=b51cbaa4596c28cdf-168c7b9fc3ba8b)



ბის ნიშნები სუსტად იკვეთება, რაც მკვლევარებს აიძულებს იფიქრონ, რომ ეს პროცესი კიდევ დიდხანს გაგრძელდება. კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული დაცემა, სხვადასხვა გათვლებით, 2020 წელს საშუალოდ, 3 პროცენტით შეამცირებს მსოფლიო ეკონომიკას<sup>7</sup>.

COVID-19-ის პანდემიის გამო, 2020 წელს საქართველოში ეკონომიკის დაცემა შეფასებულია 5 პროცენტით, რაც საქართველოს არასდროს არ ჰქონია მისი დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე, ხოლო სამომხმარებლო ფასების ზრდა მოსალოდნელია 5 პროცენტის ფარგლებში<sup>8</sup>.

საქართველოში ეკონომიკის დაცემა შესაძლებელია ხანგრძლივ ეკონომიკურ კრიზისში გადაიზარდოს და სახელმწიფოს მიერ გაღებული დახმარებებიც შემცირდეს ფინანსების დეფიციტის გამო, რაც უფრო მეტად გაამწვავებს მას. ეს სცენარი კი მიზნობრივად, საწარმოებისა და ბიზნესის განვითარებაზე ორიენტირებული პოლიტიკის დაგეგმვას მოითხოვს.

დოკუმენტის მომზადების ეტაპისთვის პანდემია მზარდია, რაც ეკონომიკურ მაჩვენებლებზე შესაბამისად აისახება. 2020 წლის პირველ ნახევარში საწარმოების შეჩერებამ და მათი საქმიანობის შემცირებამ უარყოფითად იმოქმედა ეკონომიკაზე. კორონავირუსით გამოწვეულმა კრიზისმა შეცვალა ეკონომიკური და სოციალური განვითარების დინამიკა. ახლებურად დადგა რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების განვითარების მოკლევადიანი და საშუალოვადიანი პრიორიტეტების საკითხი.

## კვლევის მეთოდოლოგია

იმის დასადგენად, თუ რა გავლენა მოახდინა COVID-19-მა მუნიციპალიტეტების ეკონომიკაზე, გამოყენებული იქნა როგორც სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემები, ასევე გამოკითხვის საფუძველზე მიღებული ინფორმაცია. ჩვენ მიერ შესწავლილი იქნა მუნიციპალიტეტებში მენარმეობის განვითარების ძირითადი ბარიერები: COVID-19-ის ზემოქმედება, ადაპტირების მექანიზმები, მუნიციპალიტეტების როლი და მენარმეობის საჭიროებები. გამომდინარე იქიდან, რომ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ საწარმოთა კვარტალური სტატისტიკური გამოკვლევა, შერჩევის ზომის სიმცირის გამო, არ ითვალისწინებს მონაცემების განზოგადებას მუნიციპალიტეტების დონეზე, ექსტრაპოლაციის მეთოდით შეფასდა მუნიციპალიტეტებში ეკონომიკის მახასიათებლები. კვლევის ფარგლებში, 2020 წლის აგვისტოს მეორე ნახევარსა და ნოემბრის დასაწყისში ჩატარდა გამოკითხვა, რომელიც აქცენტირებული იყო კორონავირუსის ეკონომიკაზე გავლენის შეფასებაზე რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით. გარდა ამისა, მენარმეთა გამოკითხვის საფუძველზე შეფასდა ადგილობრივი ხელისუფლების ანტიკრიზისული საქმიანობა.

საქართველოს ყველა რეგიონში გამოიკითხა მიკრო, მცირე და საშუალო მენარმეები. გამოკითხვა წარიმართა ელექტრონულად, შემთხვევითი შერჩევის წესით, ელექტრონულ ფოსტაზე სტრუქტურირებული კითხვარის დაგზავნით. პირველ ეტაპზე, საქართველოს ყველა მუნი-

<sup>7</sup> World Economic Outlook, International Monetary Fund, The Great Lockdown, 2020 APR.


<sup>8</sup> მონეტარული პოლიტიკის ანგარიში, ნოემბერი, 2020, საქართველოს ეროვნული ბანკი, [https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/moneratyfiscal/2020/2020q4\\_geo\\_241120.pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/moneratyfiscal/2020/2020q4_geo_241120.pdf)



ციპალიტეტებში კითხვარი დაეგზავნა 21 ათასზე მეტ კერძო სანარმოს. აქედან 40 პროცენტი გაუქმდა მითითებული ელექტრონული მისამართების არარსებობის გამო, ხოლო გამოგვებმაურა 467 რესპონდენტი, რაც დარჩენილის დაახლოებით 2.4 პროცენტია.


კვლევაში მონაწილეთა 91 პროცენტს მცირე და საშუალო მენარმეები წარმოადგენდნენ. გამოკითხულთა 49 პროცენტი იყო მცირე სანარმოს, ხოლო 42 პროცენტი — საშუალო სანარმოს მფლობელი (იხ. გრაფიკი 1).

**გრაფიკი 1. რესპონდენტთა განაწილება რეგიონის და სანარმოს ზომის მიხედვით (%)**



რესპონდენტთა 29 პროცენტი დასაქმებულია ვაჭრობის სფეროში, 24 პროცენტი რესტორნების და კვების ობიექტებზე, 16 პროცენტი საქმიანობს სასტუმროების ბიზნესში, 14 პროცენტი გადამამუშავებელ მრეწველობაში, ტურისტულ და სატრანსპორტო მომსახურებას შესაბამისად ეწევა 7 და 5 პროცენტი (იხ. გრაფიკი 2). აღნიშნული განაწილება საკმაოდ ახლოს დგას ქვეყნის ბიზნესსექტორის შესაბამის სფეროებში დასაქმებულთა წილთან.

**გრაფიკი 2. რესპონდენტთა განაწილება რეგიონის და საქმიანობის სფეროს მიხედვით (%)**





## კვლევის შეზღუდვა

საწარმოების გამოკითხვა განხორციელდა 2020 წლის აგვისტოს მეორე ნახევარში. ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით შერჩეული იქნა გამოკითხვის ყველაზე ეკონომიური და სწრაფი მეთოდი — სტრუქტურირებული გამოკითხვა ელექტრონულად Google Forms-ის პროგრამის გამოყენებით. პროგრამულად ერთ კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხის გაცემა შეიძლებოდა, რაც ამცირებდა იმის გარკვევის შესაძლებლობას, თუ რესპონდენტი სტრუქტურირებულ პასუხებში რომელს მიანიჭებდა მეორე ან მესამე პრიორიტეტს. გარდა ამისა, მიღებული პასუხები არ შეიძლებოდა ყოფილიყო არასრული, რამდენადაც შეზღუდული იყო არასრული პასუხების დაფიქსირების შესაძლებლობა. ამ მეთოდის გამოყენებით დაცული იყო რესპონდენტთა ანონიმურობა და ანკეტების შევსება მათ კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული. ზოგიერთ პატარა სიდიდის მუნიციპალიტეტში პასუხების სიმრავლე ზოგჯერ არასაკმარისი იყო ამ მუნიციპალიტეტების მასშტაბით დასკვნების განსაზოგადებლად. შესაბამისად, თვისებრივი კვლევის ფარგლებში დამატებითი აქცენტი გაკეთდა იმ მუნიციპალიტეტებზე, სადაც შევსებული კითხვარების რაოდენობა ნაკლები იყო.

რადგან გამოკითხვა ჩატარდა დისტანციურად, დახურულ შეკითხვებში მოცემული პასუხების შესაძლო ვარიანტების ჩამონათვალი შეძლებისდაგვარად მინიმალური იყო. პასუხების შესავსებად დრო 10 წთ-ს არ აღემატებოდა. იმ საფრთხის გათვალისწინებით, რომ ყოველი დამატებითი კითხვის დასმის შემთხვევაში შევსებული ანკეტების რაოდენობა შეიძლება მნიშვნელოვნად შემცირებულიყო, არ მოხდა ე.წ. მფილტრავი შეკითხვების გაწერა. მხოლოდ ქ. ბორჯომში ჩატარდა პირისპირ ჩაღრმავებული ინტერვიუ ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებთან (სასტუმროები, კაფე-ბარები, რესტორნები, ვაჭრობის მცირე ობიექტები), რომლის განზოგადებაც შესაძლებელი გახდა ამ სფეროების საწარმოებზე.

ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია მუნიციპალიტეტების, ასევე რეგიონების მიხედვით მწირია. მხოლოდ წლიურ ანგარიშებში არის წარმოდგენილი რეგიონული ინფორმაცია, ხოლო მუნიციპალური ინფორმაცია შემოიფარგლება მხოლოდ წლის განმავლობაში დარგების მიხედვით გამოშვებული პროდუქციით. კვლევის პერიოდში სტატისტიკის სამსახურის მიერ 2020 წლის პირველი ნახევრის ინფორმაცია მხოლოდ რეგიონების მიხედვით ბრუნვას, გამოშვებასა და დასაქმებას მოიცავდა. შინამეურნეობების სტატისტიკა კი წლიური მოცულობით დაგეგმილია გამოიცეს 2021 წლის მეორე კვარტალში. ამ ინფორმაციული ვაკუუმის შესავსებად დამატებით განხორციელდა პრაქტიკოსთა — საწარმოთა წარმომადგენელთა გამოკითხვა.




## COVID-19-ის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე: შედარებითი ანალიზი

საქართველოს ეკონომიკაზე კორონავირუსის პანდემიის გავლენა რეალურად დაიწყო მარტის მეორე ნახევრის შუა რიცხვებში, რის გამოც ეკონომიკასა და ბიზნესაქტიურობაზე მან

რეალური გავლენა პრაქტიკულად მხოლოდ 2020 წლის მეორე კვარტალში იქონია. საქართველოს მშპ-ის ზრდის ტემპმა 2020 წლის პირველ კვარტალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეადგინა 102.2 პროცენტი, მეორე კვარტალში კი — 87.4 პროცენტი, მთლიანად, 2020 წლის პირველი ნახევარში — 94.4 პროცენტი.

2020 წლის მეორე კვარტალში ბიზნესსექტორში პროდუქციის გამოშვება მხოლოდ სოფლის მეურნეობასა და განათლებაში აღემატებოდა 2019 წლის მეორე კვარტალის მონაცემებს. სხვა დარგებში კლებას ჰქონდა ადგილი, სულ ბიზნესსექტორში გამოშვება შემცირდა 20 პროცენტით (იხ. გრაფიკი 3).

**გრაფიკი 3. პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლები სფეროების მიხედვით — 2020 წლის მეორე კვარტალის შედარება 2019 წლის მეორე კვარტალთან (%)**



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


2020 წლის მეორე კვარტალში ბიზნესსექტორის ბრუნვამ 22.3 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც 2019 წლის იმავე მაჩვენებელთან 2.9 მილიარდით ნაკლებია. პანდემიის მიმართ ეკონომიკის მაღალი მოწყვლადობა დარგობრივად და სანარმოების ზომების მიხედვით განსხვავებული იყო. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ყველაზე მეტად წარმოება შემცირდა საბითუმო და საცალო ვაჭრობაში — 13.9 პროცენტით, უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საქმიანობებში — 11.4 პროცენტით, მშენებლობის სექტორში — 8.3 პროცენტით, საფინანსო-სადაზღვევო საქმიანობებში — 6.1 პროცენტით<sup>9</sup>.

დარგების მიხედვით 2020 წლის მეორე კვარტალში ყველაზე მეტად სოფლის მეურნეობაში გაიზარდა ბრუნვა, ხოლო მშენებლობაში, ვაჭრობასა და მომსახურების სფეროებში (გარდა განათლებისა) ადგილი ჰქონდა დაცემას (იხ. გრაფიკი 3).

<sup>9</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)




**გრაფიკი 4. ბრუნვა სფეროების მიხედვით – 2020 წლის პირველი ნახევრის შედარება 2019 წლის პირველ ნახევართან (%)**



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2020 წლის პირველ ნახევარში 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ბრუნვა გაიზარდა სოფლის მეურნეობაში, ხელოვნება, გართობა, დასვენებასა და განათლებაში (იხ. გრაფიკი 4), მაგრამ ამავე პერიოდში სოფლის მეურნეობა აღმოჩნდა პრაქტიკულად საქმიანობის ის ერთადერთი სფერო, სადაც პროდუქციის გამოშვება კი არ შემცირდა, არამედ გაიზარდა (იხ. გრაფიკი 5).

**გრაფიკი 5. პროდუქციის გამოშვება სფეროების მიხედვით – 2020 წლის პირველი ნახევრის შედარება 2019 წლის პირველ ნახევართან (%)**




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2020 წლის მეორე კვარტალში პირველ კვარტალთან შედარებით ეკონომიკის ბიზნეს-სექტორში ბრუნვა შემცირდა 14 პროცენტით, განსაკუთრებით ღრმა იყო დაცემა უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საქმიანობებში (23.7 პროცენტი), ვაჭრობაში (16.2 პროცენტი), ხელოვნება, გართობა და დასვენებაში (15.4 პროცენტი), ჯანდაცვაში (12.4 პროცენტი). ზრდას ჰქონდა ადგილი სოფლის მეურნეობაში (19.8 პროცენტი). მრეწველობაში ბრუნვა შემცირდა 6 პროცენტით, მშენებლობაში – 7.3 პროცენტით, ხოლო ტრანსპორტში – 7 პროცენტით (იხ. გრაფიკი 6).



**გრაფიკი 6. ბრუნვა ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით – 2020 წლის მეორე კვარტლის შედარება 2020 წლის პირველ კვარტალთან (%)**




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მეორე კვარტალში ამავე წლის პირველ კვარტალთან შედარებით ბიზნესსექტორში პროდუქციის გამოშვება დაეცა თითქმის ყველა დარგში, სოფლის მეურნეობის, განათლებისა და კომუნიკაციების გარდა (იხ. გრაფიკი 7). განათლებაში, ასევე კომუნიკაციებსა და ინფორმაციულ სექტორში, გამოყენებული იქნა თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები, რომელმაც უზრუნველყო დისტანციურად საქმიანობის გაგრძელება და ამ სფეროების სიცოცხლისუნარიანობა.



**გრაფიკი 7. პროდუქტის გამოშვება ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით – 2020 წლის მეორე კვარტლის შედარება 2020 წლის პირველ კვარტალთან (%)**



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ამგვარად, COVID-19-ის პანდემიამ სერიოზული გავლენა მოახდინა წარმოებისა და ბიზნეს-აქტიურობის მასშტაბებზე როგორც ზოგადად, ისე საქმიანობის ცალკეული სახეობებისა და რეგიონების მიხედვით. 2020 წლის მეორე კვარტალში წინა კვარტალთან შედარებით ბრუნვა ბიზნესსექტორში შემცირდა საქმიანობის ყველა სახეობის მიხედვით (გარდა სოფლის მეურნეობისა), ხოლო გამოშვება — გარდა სოფლის მეურნეობისა და ინფორმაციისა და კომუნიკაციის სფეროებისა. განათლებაში ბრუნვა და გამოშვება სტაბილურად უცვლელი დარჩა.

გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით ბიზნესსექტორის ბრუნვა გაიზარდა სოფლის მეურნეობაში, მრეწველობაში, ხელოვნებისა და გართობის სექტორებში, ხოლო პროდუქციის გამოშვება — მხოლოდ მრეწველობაში.




## COVID-19-ის გავლენა საქართველოს რეგიონებზე: შედარებითი ანალიზი

საქართველოს რეგიონები გამოირჩევა სხვადასხვა დარგის განვითარებით, თუმცა ზოგიერთ რეგიონში ინდუსტრიასთან ერთად განვითარებულია ტურიზმი, ხოლო თითქმის ყველა რეგიონში უპირატესად ვითარდება გადამმუშავებელი მრეწველობა.

გამოკითხვამ აჩვენა, რომ 2020 წლის პირველ ნახევარში საწარმოების 12-მა პროცენტმა მთლიანად შეაჩერა წარმოება, 60-90 პროცენტით შეამცირა წარმოება 22-მა პროცენტმა, საშუალოდ 30-60 პროცენტით შეამცირა წარმოება 41-მა პროცენტმა, ხოლო 25-მა პროცენტმა — მხოლოდ 10-30 პროცენტით (იხ. გრაფიკი 8)<sup>10</sup>. შედარებისათვის, იმ გამოკითხული საწარმოების რიცხოვნობა, რომელთაც საშუალოდ შეუმცირდათ წარმოება, გურიაში შეადგინა 56 პროცენტი, ხოლო სამეგრელოში — 52 პროცენტი. აჭარაში მაღალია საწარმოების წილი, რომლებსაც წარმოება ძალიან შეუმცირდათ (35 პროცენტი), მცირედით შეუმცირდათ წარმოება კახეთში — 43 პროცენტს, ქვემო ქართლში — 47 პროცენტს.

გრაფიკი 8. საწარმოების მიერ საქმიანობის შეჩერება-შემცირება რეგიონების მიხედვით (%)



საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილი, რომლის ეკონომიკაში გადამწყვეტ როლს თამაშობს მშენებლობა, ვაჭრობა და მომსახურების ისეთი სფეროები, როგორებიცაა ტურიზმი, სასტუმროების ბიზნესი და სატრანსპორტო მომსახურება. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულია მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული ობიექტები — ბათუმის საზღვაო პორტი და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი. აჭარის ტერიტორიაზე მოქმედებს უამრავი უმაღლესი კლასის დიდი, საშუალო და მცირე ზომის სასტუმრო და ჰოსტელი.

პანდემიამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა აჭარის ეკონომიკას, განსაკუთრებით ვაჭრობის და მომსახურების ისეთ მნიშვნელოვან სფეროს, როგორიცაა საერთაშორისო ტურიზმი და სასტუმროების ბიზნესი. რესპონდენტთა 35 პროცენტს საშუალოდ შეუმცირდა წარმოება (30-60 პროცენტით), ხოლო 43 პროცენტს წარმოება ძალიან შეუმცირდა (60-90 პროცენტით)

<sup>10</sup> იგულისხმება კარანტინის პერიოდში წარმოების დროებითი წყვეტაც.



(იხ. გრაფიკი 8). საერთაშორისო ტურიზმის დანაკარგი მეტ-ნაკლებად ანაზღაურდა შიდა ტურიზმის ხარჯზე, თუმცა ადგილობრივ ტურისტთა რიცხვი წინა წლებთან შედარებით ნაკლები იყო, რაც გამოწვეული იყო ვირუსის გავრცელების შიშის გამო მოსახლეობის თავშეკავებით. აჭარა სექტემბრის დასაწყისში გახდა COVID-19-ის გავრცელების ყველაზე დიდი კერა საქართველოში.

**იმერეთი** არის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური სამეწარმეო რეგიონი, მრავალფეროვანი ეკონომიკითა და ქალაქების განსხვავებული პროფილით. ქუთაისი სხვადასხვა ინდუსტრიასთან დაკავშირებულ საქმიანობას და სერვისებს აწარმოებს როგორც ქალაქის, ასევე მეზობელი მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების მოსახლეობისთვის. იგი ერთ-ერთი დიდი სავაჭრო ცენტრია და მოსახლეობაც სხვადასხვა პროდუქტის შესაძენად ჩამოდის რეგიონებიდან. ამასთან, იგი შრომითი რესურსების მიგრაციის ადგილობრივი ცენტრია იმერეთის რეგიონში. იგი გამოირჩევა მსხვილი სამრეწველო საწარმოების სიმრავლით.

ქალაქში ტურიზმი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორია და მისი განვითარება ხელს უწყობს როგორც ინფრასტრუქტურის განვითარებას, ასევე ბიზნესის სხვადასხვა სფეროს განვითარებას, მოსახლეობის დასაქმების ზრდას.

ზესტაფონი და სამტრედია გამოირჩევა ინდუსტრიისა და სატრანსპორტო და ლოგისტიკური განვითარებით; ჭიათურა, საჩხერე, ტყიბული, ხონი კი გამოირჩევა მომპოვებითი ინდუსტრიის განვითარებით. სხვა მუნიციპალიტეტებში მცირე მეწარმეობაზე დაფუძნებული სავაჭრო და გადამამუშავებელი დარგები ვითარდება. ეკონომიკის სხვა სფეროებიდან რეგიონში განვითარებულია ვაჭრობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, მშენებლობა და ა.შ.

2020 წლის პირველ ნახევარში იმერეთის მუნიციპალიტეტებში გამოკითხულთა 26-მა პროცენტმა საერთოდ შეწყვიტა წარმოება, ხოლო დიდმა ნაწილმა — 53-მა პროცენტმა შეამცირა წარმოება 30-60 პროცენტით. სხვა მიზეზებთან ერთად, მათი 24 პროცენტი ასახელებს კრიზისის პირობებში საწარმოს საქმიანობის გამოცდილების ნაკლებობას, 78 პროცენტი კი მოითხოვს სახელმწიფოსაგან დახმარებას.

როგორც გამოკითხვამ აჩვენა, იმერეთის მუნიციპალიტეტებში მცირე საწარმოები სასიცოცხლოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ გადასახადის გადავადებას და სესხების რესტრუქტურისაგან. ამასთან, მსხვილ საწარმოებს (მაგრამ არა ყველას), მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისგან განსხვავებით, სტრატეგიული გეგმები აქვთ. მსხვილი საწარმოების წარმომადგენლები ნაკლებად აღნიშნავენ, რომ ისინი ძალიან დაზარალდნენ კორონავირუსისაგან, როგორც მცირე და საშუალო ზომის საწარმოები. ვითარება საწინააღმდეგოა ტურისტულ ობიექტებში, სადაც: მსხვილი ტურისტული ობიექტები — განსაკუთრებით სასტუმროები, უფრო მეტად დაზარალდნენ, ვიდრე მცირე სასტუმროები. ამ სფეროში მცირე საწარმოები უფრო მოქნილები და ადაპტირებულნი აღმოჩნდნენ ცვლილებებისადმი, ვიდრე მსხვილი საწარმოები. რესპონდენტთა დიდი ნაწილი (ძირითადად, მცირე და საშუალო საწარმოები) ინტერნეტს იყენებენ მხოლოდ ანგარიშსწორებისათვის, და რამდენადაც გამოკითხულთა 74 პროცენტი ვაჭრობის, რესტორნებისა და კვების ობიექტების წარმომადგენლებია, ერთ-ერთ ძირითად გამოწვევად უსაფრთხოების წესებს აღიარებენ, რომლის დაცვასაც ისინი რთულად განსახორციელებელ ამოცანად მიიჩნევენ. მხოლოდ მცირე ნაწილი იყენებს ინტერნეტს შეკვე-



თების მისაღებად. გამოკითხულთა 19 პროცენტს აქვს სტრატეგია და სამომავლო მოქმედების გეგმა.

**კახეთი** გამოირჩევა ისეთი დარგების განვითარებით, როგორებიცაა მევენახეობა და მეღვინეობა. შემოდგომის პერიოდში განსაკუთრებით აქტუალურია ტურიზმი. 2020 წლის პირველ ნახევარში ეს იყო ერთ-ერთი მწვანე რეგიონი ვირუსით

დაინფიცირებულების დაბალი მაჩვენებლით, მაგრამ მისი ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის თავისებურებების გამო გამოკითხულთა 80 პროცენტზე მეტს წარმოება შეუმცირდა მცირედით ან საშუალოდ, ძირითადად გადამამუშავებელ მრეწველობაში, რისი ერთ-ერთი მიზეზიც რეალიზაციის შემცირება იყო.


**ქვემო ქართლში** განვითარებულია მოპოვებითი მრეწველობა. ვირუსის გავრცელებით ყველაზე მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა მარნეულის და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში, რომლებიც გამორჩეულნი არიან გადამამუშავებელი მრეწველობითა და კვების ინდუსტრიით. რუსთავი მსხვილი სანარმოების ცენტრია. ამ რეგიონში გამოკითხულთა თითქმის ნახევარი მხოლოდ მცირედით დაზარალდა კორონავირუსის გამო. ყველაზე დიდი ზარალი მიადგა მცირე და საშუალო სანარმოებს.

**შიდა ქართლის** რეგიონში მრეწველობა არ გამოირჩევა დარგების მრავალფეროვნებით, არც დასაქმებულთა რაოდენობით და არც პროდუქციის გამოშვების მოცულობით. მხოლოდ სურსათის წარმოება და კვების მრეწველობა არის მეტ-ნაკლებად განვითარებული და მნიშვნელოვანი რეგიონის მასშტაბით. 2020 წლის მეორე კვარტალში წინა კვარტალთან შედარებით, შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთისა და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის მსგავსად, გამოირჩეოდა პროდუქციის გამოშვების 15 პროცენტზე მაღალი ზრდის ტემპით, კვლევის თანახმად, რეგიონში ყველაზე დიდი ზარალი განიცადა ვაჭრობის სფეროში. გამოკითხულთა მესამედზე მეტს წარმოება საშუალოდ, 30-60 პროცენტით შეუმცირდა.

**გურიაში** წარმოების მაპროფილებელი სახეობებია ელექტროენერჯის, მინერალური და სასმელი წყლების, თხილის, ჩაის, ლუდის, უალკოჰოლო სასმელების, ხორბლის ფქვილის, პურისა და ფუნთუშეულის, ინერტული მასალებისა და დაფქვილი თიხის წარმოება. გამოკითხული სანარმოების ნახევარზე მეტს საშუალოდ შეუმცირდათ წარმოება, რის ერთ-ერთ მიზეზად ასახელებენ რეალიზაციის შემცირებასა და ფინანსურ პრობლემებს, კრიზისიდან გამოსვლის მნიშვნელოვან წყაროდ კი სახელმწიფოს დახმარებებსა და სუბსიდირებას მიიჩნევენ.

**მცხეთა-მთიანეთის** ეკონომიკის მაპროფილებელი სექტორებია სოფლის მეურნეობა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავება, სურსათის, ალკოჰოლური და არაალკოჰოლური სასმელების წარმოება, მესაქონლეობა, ენერჯეტიკა, ტურიზმი და მასთან დაკავშირებული სარესტორნო ბიზნესი. ყველაზე მეტად კორონავირუსის გამო დაზარალდა მცხეთის ტურისტული და სარესტორნო ბიზნესი. საგანგებო მდგომარეობის და საზღვარგარეთის ქვეყნების მიერ საკარანტინო მდგომარეობის გამოცხადებამ, ასევე საზღვრების დაკეტვამ გავლენა მოახდინა კურორტ გუდაურზე. ამას ისიც დაემთხვა, რომ მნიშვნელოვნად შემცირდა ადგილობრივი მოთხოვნა საკურორტო მომსახურებაზე.

**სამცხე-ჯავახეთში** განვითარებულია სამთო-მომპოვებლობა, მინერალური წყლების, ავეჯისა და ხის ნაკეთობების წარმოება. ბორჯომი გამორჩეულია ტურიზმით. ბორჯომში სასტუმროს წარმომადგენელთა ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ საცალოდ მოვაჭრეთა მდგომარეობა საშუალოზე მეტად დაზიანდა, თუმცა უსაფრთხოების წესების დაცვა მათთვის ძნელად განსახორციელებელი არ იყო. სასტუმროები ყველაზე უკეთესად იყენებენ ელექტრონულ საშუალებებს მომსახურების გასაწევად და მის საქმიანობაზე და მოკიდებული რესტორნების, სხვა



კვების ობიექტებისა და გასართობი საქმიანობების ნარმატებები საკურორტო ზონებში. მათთვის ყველაზე დიდი ბარიერი პანდემიით გამოწვეული გადაადგილების შეზღუდვებია. საერთაშორისო მიმოსვლის შეზღუდვამ მნიშვნელოვნად დააზარალა ტურიზმთან დაკავშირებული ყველა დარგი, რისი კომპენსაციაც ადგილობრივი ტურიზმის განვითარებამ ვერ შეძლო.

**რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთში** ვითარდება გადამამუშავებელი მრეწველობა, კერძოდ, ხორცის, რძის, თაფლის, ხილის წარმოება, ღვინისა და ღვინომასალების და უალკოჰოლო სასმელების წარმოება, ხე-ტყის გადამამუშავება და სხვა. ეს დარგები ნაკლებად დაზარალდნენ პანდემიით. რესპონდენტთა 41-მა პროცენტმა განაცხადა, რომ მათი წარმოება შემცირდა უმნიშვნელოდ, ხოლო 30-მა პროცენტმა — საშუალოდ (იხ. გრაფიკი 8). მიუხედავად იმისა, რომ რეგიონი არის ტურიზმის განვითარებისათვის კარგი ადგილი, მისი ეკონომიკის დამოკიდებულება ტურიზმზე არ არის ძლიერი, ამიტომ პანდემიის გავლენაც გადაადგილების შეზღუდვის გამო ძირითადად, პროდუქციისა და მომსახურების რეალიზაციის შემცირებაში აისახა.

**სამეგრელო-ზემო სვანეთი** მრავალფეროვანია დარგობრივად, ფოთი — ლოგისტიკური ცენტრია, მესტიაში განვითარებულია ტურიზმი, ხოლო დანარჩენ მუნიციპალიტეტებში — გადამამუშავებელი მრეწველობა. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მრეწველობის მაპროფილებელი სახეობებია თხილისა და ჩაის გადამამუშავება, აბაშაში — ნაყინისა და საკონდიტრო წარმოება, წალენჯიხაში — ხე-ტყის გადამამუშავება და ჩაის წარმოება, მარტვილში — ჩაის და ღვინის წარმოება, სენაკში — ღვინის წარმოება, ქ. ფოთში — თევზის ზეთის, თევზის ფქვილის, ხორცისა და რძის პროდუქტების წარმოება, ჩხოროწყუში — თხილის წარმოება, ხოლო მესტიაში — ხე-ტყის გადამამუშავება. კვლევის თანახმად, რეგიონში გამოკითხულთა 80 პროცენტზე მეტმა განაცხადა, რომ მათი წარმოება შემცირდა მცირედით ან საშუალოდ. ქ. ფოთში მცირედით შემცირდა წარმოება გამოკითხულთა თითქმის ნახევარს.


საქართველოში მესტია, მარნეული, ბოლნისი და თეთრიწყარო ყველაზე კრიტიკულ მუნიციპალიტეტებს წარმოადგენდა, რამდენადაც პანდემიის გამწვავების გამო კარანტინის პერიოდი, სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით, დიდხანს გაგრძელდა. მესტიაში განსაკუთრებით დაზარალდა ტურისტული ობიექტები — სასტუმროები და კვების ობიექტები, ასევე ვაჭრობა, ხოლო მარნეულსა და თეთრიწყაროში მნიშვნელოვნად შემცირდა ვაჭრობა, მაგრამ ამ რეგიონებში მენარმეების მიერ კრიზისის აღქმა არ არის იმაზე უფრო ღრამატული, ვიდრე სხვა, შედარებით მწვანე მუნიციპალიტეტში, რაც განპირობებულია იმით, რომ აღნიშნული დარგების საქმიანობაზე ყველგან, მთელ ქვეყანაში გადაადგილების შეზღუდვა ერთნაირად მტკივნეულად ზემოქმედებდა.

კვლევის შედეგად აშკარა გახდა, რომ როგორც მწვანე, ისე ეპიდემიურად ინტენსიურ მუნიციპალიტეტებში პანდემიის გავლენა წლის პირველ ნახევარში განსხვავებული იყო რეგიონების მიხედვით. განსაკუთრებით ღრმა იყო მისი ურყოფითი გავლენა პროდუქციის გამოშვებაზე სამცხე-ჯავახეთში (შემცირდა 22.2 პროცენტით) და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში (შემცირდა 24.6 პროცენტით) (იხ. გრაფიკი 9). კახეთში, მცხეთა-მთიანეთში, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთში, ასევე შიდა ქართლში შენარჩუნდა ზრდის ტემპი, ხოლო ქვემო ქართლში,



რომლის ზოგიერთ მუნიციპალიტეტსა და ტერიტორიაზე კარანტინის პერიოდი ხანგრძლივი იყო, მცირედი დაცემა (-2 პროცენტი) შეინიშნებოდა.

**გრაფიკი 9. პროდუქციის გამოშვება რეგიონების მიხედვით – 2020 წლის მეორე კვარტლის შედარება 2020 წლის პირველ კვარტალთან (%)**



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


რეგიონული სხვაობა განპირობებული იყო სეზონური სამუშაოების (განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში) დიდი წილით ბიზნესსაქმიანობებში და დარგობრივი სტრუქტურით. ტურიზმზე ორიენტირებულ რეგიონებში ან იმ ტერიტორიებზე, რომელიც გამორჩეულია ლოგისტიკური მომსახურებითა თუ ვაჭრობის დიდი წილით, პანდემიის გავლენა განსაკუთრებით დიდი იყო.

2020 წლის პირველ და მეორე კვარტლებში საქართველოში ბიზნესსექტორში ბრუნვამ ნომინალურად გაიმეორა 2019 წლის პირველი ნახევრის მაჩვენებელი, თუმცა, რეგიონების მიხედვით განსხვავებული შედეგებით. მხოლოდ კახეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მუნიციპალიტეტებში ბიზნესსექტორში ბრუნვა მცირედით აღემატებოდა 2019 წლის პირველი ნახევრის მაჩვენებელს (იხ. გრაფიკი 10).

ვარდნა განსაკუთრებით მაღალი იყო აჭარაში, რადგან ამ რეგიონში ეკონომიკური აქტივობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ტურისტულ სექტორზე.




**გრაფიკი 10. ბრუნვა რეგიონების მიხედვით – 2020 წლის პირველი ნახევრის შედარება 2019 წლის პირველ ნახევართან (%)**



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2019 წლის პირველ ნახევართან შედარებით პროდუქციის გამოშვება ქვეყანაში შემცირდა 7.1 პროცენტით. ნომინალურად მცირე ზრდას ჰქონდა ადგილი კახეთის, იმერეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მუნიციპალიტეტებში. ყველაზე ღრმა დაცემა დაფიქსირდა აჭარასა და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთში (იხ. გრაფიკი 11).

**გრაფიკი 11. პროდუქციის გამოშვება რეგიონების მიხედვით – 2020 წლის პირველი ნახევრის შედარება 2019 წლის პირველ ნახევართან (%)**




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

გამოშვების, ბრუნვისა და დასაქმების მხრივ, 2020 წლის მე-2 კვარტალში ყველაზე დიდი




წილი მთლიანად საქართველოს შესაბამის მარკენებლებთან, თბილისის შემდეგ ჰქონდა ქვემო ქართლს, აჭარას, იმერეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთს (იხ. გრაფიკი 12).

**გრაფიკი 12. ბიზნესსექტორში ბრუნვა, გამოშვება და დასაქმება რეგიონების მიხედვით – 2020 წლის მეორე კვარტალი (% , წილი მთელთან)**



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2020 წლის პირველ ნახევარში წინა წლის პირველ ნახევართან შედარებით ბიზნესსექტორის ბრუნვა შენარჩუნებული იყო 2019 წლის პირველი ნახევრის დონეზე, თუმცა ცალკეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით (თბილისი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, ქვემო ქართლი და შიდა ქართლი) ადგილი ჰქონდა ზრდას (იხ. გრაფიკი 10). ამასთან, ბიზნესსექტორის ბრუნვაში თბილისის მაღალი წილის (77.2 პროცენტი) გამოკლებით, საქართველოს დანარჩენ რეგიონებში ჯამურად ადგილი ჰქონდა საგრძნობ შემცირებას.



## COVID-19-ის გავლენა მცირე ბიზნესსა და მშენებლობაზე<sup>11</sup>

ყველა რეგიონში ბიზნესის განვითარების ჰორიზონტალური და ვერტიკალური პროცესები წარმოადგენს მუნიციპალიტეტებისა და რეგიონთაშორის მწარმოებელთა, გამყიდველთა და მომხმარებელთა ქსელს და თითოეული მათგანის საქმიანობის ჩავარდნა იწვევს სხვა სანარმოების „ჭაჭვური“ რეაქციით ჩავარდნას. გადაადგილების შეზღუდვამ და საზღვრების ჩაკეტვამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ტურიზმის ობიექტების — სასტუმროების, რესტორნებისა და კაფე-ბარების საქმიანობაზე, რამაც თავის მხრივ, მნიშვნელოვნად შეამცირა ერთობლივი მოთხოვნა ტრანსპორტსა და საცალო ვაჭრობაზე. ამასთან, ყველა სანარმოს ჰქონდა საქმიანობის შეჩერების ან შემცირების ერთი და იგივე მიზეზები, რომლებიც პანდემიის თავიდან აცილების საჭიროებებიდან გამომდინარეობდა. მათთან გამკლავება კი მოითხოვს მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს, პარტნიორული ქსელის სოციალურ და ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერას და სხვ.

როგორც მენარმეთა გამოკითხვა ადასტურებს, ყველა მუნიციპალიტეტში ადამიანთა გადაადგილების შეზღუდვა ყველაზე ძლიერ ზემოქმედებდა ბიზნესსაქმიანობაზე. მენარმეების აღქმა გადაადგილების შეზღუდვასთან დაკავშირებით როგორც მწვანე, ისე ყველაზე ინფიცირებულ მუნიციპალიტეტებში, როგორც იყო მარნეული და ბოლნისი, ფაქტობრივად, თანაბარია. რესპონდენტები ძირითად ბარიერებად ასახელებენ ეპიდემიას, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას, რეალიზაციის შემცირებას. გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა აცხადებს, რომ წარმოება შეუმცირდა ან შეაჩერა ეპიდემიის გამო. გამოკითხულთა 38 პროცენტი ეპიდემიის გავრცელების წინააღმდეგ დაკავშირებული ნორმების დაცვას მიიჩნევს საშუალოდ მძიმე ტვირთად. შეზღუდვამ გავლენა იქონია მომხმარებელთა ქცევებზე, რაც მათი ერთობლივი მოთხოვნის შემცირებაში აისახა.

საქართველოში ეკონომიკის შემცირება ძირითადად კარანტინის პერიოდში, 2020 წლის მეორე კვარტალში მოხდა. 2020 წლის აპრილ-მაისში, თითქმის ყველა დარგში შეწყდა წარმოება ან შემცირდა ვაჭრობა. ყველაზე მეტად დაზარალდა მცირე სავაჭრო ობიექტები (რასაც ვერ ვიტყვით საცალო ქსელურ მაღაზიებზე), სამედიცინო მომსახურება, ლოგისტიკა. შემდგომ კი წარმოების განახლება შეფერხებებით წარიმართა. დისტანციური სანიტარიულ-ჰიგიენური უსაფრთხოების ნორმების სავალდებულო დაცვამ მრავალი წარმოება სერიოზული გამოწვევების წინაშე დააყენა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, ბიზნესსექტორში შედარებით სტაბილური აღმოჩნდა საშუალო ზომის სანარმოები, რომლებმაც ნომინალურად შეინარჩუნეს და მცირედით გაზარდეს როგორც ბრუნვა, ასევე პროდუქციის გამოშვება და დასაქმება, თუმცა მცირე სანარმოებმა მხოლოდ დასაქმება შეინარჩუნეს, ხოლო მსხვილმა სანარმოებმა — შეამცირეს პროდუქციის გამოშვება და დასაქმება. საქართველოს რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით, მცირე ბიზნესს უფრო მეტად შეუმცირდა წარმოება, ვიდრე საშუალო ან მსხვილ ბიზნესს.

<sup>11</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ბიზნესსექტორის შესახებ (ბრუნვა, დასაქმება, გამოშვება, ხარჯები) მუნიციპალიტეტების დონეზე მხოლოდ წლიურ მაჩვენებლებს წარადგენს. 2020 წლის მონაცემების გამოცემა დაგეგმილია 2021 წლის მეორე კვარტალში. ქვემოთ მოცემული მუნიციპალიტეტების შესახებ მონაცემები ეფუძნება კვლევის ფარგლებში განხორციელებული ანკეტირების შედეგებს.



კრიზისს შედარებით უკეთ გაართვეს თავი საშუალო ზომის საწარმოებმა. 2020 წლის პირველ ნახევარში 2019 წლის პირველ ნახევართან შედარებით, მათ მსხვილ და მცირე ზომის საწარმოებზე უკეთესი მდგომარეობა ჰქონდათ ბრუნვის, გამოშვებისა და დასაქმების პარამეტრების მიხედვით (იხ. ცხრილი 1).


**ცხრილი 1. ბრუნვა, გამოშვება და დასაქმება საწარმოების ზომის მიხედვით – 2020 წლის პირველი ნახევრის შედარება 2019 წლის პირველ ნახევართან (%)**

	მსხვილი	საშუალო	მცირე	სულ
ბრუნვა	100.4	111.8	90.9	101.0
პროდუქციის გამოშვება	93.9	101.8	92.5	96.1
დასაქმება	97.4	107.8	100.0	101.7


წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცალკეული მუნიციპალიტეტების მიხედვით, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელთა აღქმის შესაბამისად, პანდემიის გავლენა წლის პირველ ნახევარში ძლიერი იყო განსაკუთრებით მცხეთაში, სადაც გამოკითხულთა 60 პროცენტზე მეტი ასახელებდა, რომ მათი წარმოება ძალიან შემცირდა. ეს მაჩვენებელი მაღალია ოზურგეთსა და ბათუმში. ბორჯომში გამოკითხულთა თითქმის ორ მესამედს საშუალოდ შეუმცირდა წარმოება. სხვა მუნიციპალიტეტებში წარმოება ძირითადად, მცირედით ან საშუალოდ იქნა შემცირებული (იხ. გრაფიკი 13).


**გრაფიკი 13. COVID-19-ის გავლენა წარმოებაზე მუნიციპალიტეტების მიხედვით (%)**



მშენებლობაში პანდემიის ზემოქმედება შედარებით რბილად წარიმართა უძრავი ქონების შექმნის შემთხვევაში ხელისუფლების მიერ იპოთეკური სესხების დაფინანსების პოლიტიკის გამო. ამ პოლიტიკამ წარმოშვა პოზიტიური მოლოდინი უძრავი ქონების გაყიდვების ხელშეწყობასთან დაკავშირებით. პოლიტიკა მნიშვნელოვანი იყო ამ სფეროს კრიზისიდან გამოსასვლელად. მართალია, გაყიდვები შემცირდა, მაგრამ სფერო არ შეჩერებულა. მენარმეთა პასუხები მუნიციპალიტეტიდან მეტყველებს იმაზე, რომ პოზიტიურმა მოლოდინმა მნიშვნელოვნად იმოქმედა მშენებლობის სექტორის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებაზე.




**გრაფიკი 14. COVID-19-ის გავლენა მშენებლობაზე ქალაქების მიხედვით (%)**



**წარმოების შემცირების/შეჩერების მიზეზები**

როგორც კვლევა ადასტურებს, მუნიციპალიტეტების ეკონომიკის ცვლილებებზე კორონავირუსის ზემოქმედება განისაზღვრებოდა არა მათი დაინფიცირებული მოსახლეობის რაოდენობით, არამედ ბიზნესსაქმიანობის შეზღუდვის საერთო მიზეზებით. რესპონდენტთა გამოკითხვის მიხედვით, კითხვაზე, თუ რა იყო წარმოების შემცირების/შეჩერების მიზეზი, რეგიონებში გამოკითხულთა 41 პროცენტის პასუხი იყო: ეპიდემია და ეპიდემიით გამოწვეული სხვადასხვა ფაქტორი, მათ შორის რეალიზაციის შემცირება (23 პროცენტი) და ფინანსური პრობლემები (14 პროცენტი).


**გრაფიკი 15. წარმოების შემცირების/შეჩერების მიზეზები რეგიონების მიხედვით (%)**





ცალკეული მუნიციპალიტეტის მიხედვით წარმოების შემცირების არსებით მიზეზად ასახელებენ ეპიდემიას, მასთან დაკავშირებულ პროდუქციის რეალიზაციის შემცირებასა და დაფინანსების პრობლემებს (იხ. გრაფიკი 16).

**გრაფიკი 16. წარმოების შემცირების/შეჩერების მიზეზები მუნიციპალიტეტების მიხედვით (%)**




## COVID-19-ის გავლენა რეგიონების სოფლის მეურნეობასა და შინამეურნეობებზე

საქართველოს სოფლის მეურნეობაში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, თვითდასაქმებულთა 78 პროცენტი (659 ათასი) არის დასაქმებული. 2019 წელს სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის წილმა მთლიან შიდა პროდუქტში შეადგინა 7.3 პროცენტი, ხოლო მთლიან გამოშვებაში კი — 6.3 პროცენტი, რაც 5 041 მლნ ლარის ტოლფასია. 2020 წლის პირველ კვარტალში იმავე მაჩვენებელმა შეადგინა 1 095 მლნ ლარი. 2020 წლის მეორე კვარტალში სოფლის მეურნეობის გამოშვება წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაიზარდა 14.3 პროცენტით<sup>12</sup>, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სოფლის მეურნეობა და შინამეურნეობების საქმიანობები სოფლად, პანდემიის მიუხედავად, ჩვეული ტემპით მიმდინარეობდა.

სტაბილურობას ხელი შეუწყო იმ გარემოებებმაც, რომ საგანგებო ვითარების პერიოდში ჯანდაცვის მიმართულებასთან ერთად სოფლის მეურნეობის მიმართულება — მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა, სოფლად აგროტექნიკური სამუშაოების დროულად და ეფექტურად წარმოება, მოსავლის აღება და საკარანტინო ზონებიდან ტრანსპორტირება და მისი მომხმარებელამდე მიტანა, წარმოადგენდა მთავრობის და საგანგებო შტაბის საქმიანობის პრიორიტეტებს.

საგანგებო ვითარების პერიოდში, საკარანტინო ზონის შემოღებასთან დაკავშირებით პროდუქციის ადგილზე შესყიდვისა და ტრანსპორტირებისათვის მთავრობამ ადგილობრივ ხე-

<sup>12</sup> წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)



ლისუფლებასთან ერთად განახორციელა ქმედითი ღონისძიებები და მოახდინა კერძო შემსყიდველი კომპანიებისა და სატრანსპორტო საშუალებების მობილიზება. ამის მაგალითია მარნეულის მუნიციპალიტეტი, სადაც საკარანტინო ზონაში მწარმოებლების მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს შესაძლოა, ნეგატიური გავლენა ჰქონოდა ადგილობრივების ეკონომიკურ მდგომარეობაზე და ქვეყანაში გარკვეული ტიპის სურსათის დეფიციტი გამოეწვია.

პრობლემა იმდენად არ იყო გამოწვეული საკარანტინო რეგულაციებითა და ტრანსპორტირებით, რამდენადაც იმ მენარმე სუბიექტებით, რომელთაც ჰქონდათ სანებართვო უფლება საკარანტინო ზონაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვასა და საკარანტინო ზონიდან მის ტრანსპორტირებაზე. კონკურენციის არარსებობის გამო, ვერ მოხერხდა მოსახლეობისგან პროდუქციის შესყიდვისას ჯანსაღი და სამართლიანი გარემოს უზრუნველყოფა. შემსყიდველმა მენარმე სუბიექტებმა ისარგებლეს დროებით მინიჭებული ექსკლუზიური უფლებებით და სოფლის პროდუქციის საბითუმო შესყიდვისას ადგილობრივ მოსახლეობას სთავაზობდნენ საბაზროზე დაბალ ფასს, რომელიც შემდგომ სამმაგ და ხუთმაგ ფასად იყიდებოდა საცალო ქსელებში, რამაც ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. მთავრობისა და ადგილობრივი ხელისუფლების ჩარევის შედეგად ეს პრობლემა მოგვარდა.

## COVID-19-ის გავლენა დასაქმებაზე


სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, საქართველოში 2020 წლის პირველ ნახევარში უმუშევართა რაოდენობა 16 ათასით გაიზარდა.

2020 წლის მეორე კვარტალში უმუშევართა რიცხვი 2019 წლის მეორე კვარტალთან შედარებით 10.7 ათასით გაიზარდა და 235.9 ათასს მიაღწია. თუ 2019 წელს უმუშევრობა 11.9 პროცენტი იყო, 2020 წლის მეორე ნახევარში მან 12.3 პროცენტი შეადგინა. მოსალოდნელია, რომ ეს მაჩვენებელი უფრო მეტად გაიზარდოს. რაც შეეხება ბიზნესსექტორში დასაქმებულთა რაოდენობას ეკონომიკური საქმიანობის სახეობების მიხედვით, 2019 წლის II კვარტალში დასაქმებულთა მთლიანმა რაოდენობამ 687 874 შეადგინა, ხოლო 2020 წლის II კვარტალში — 631 814, რაც იმის დადასტურებაა, რომ ბიზნესსექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 2020 წლის II კვარტალში 2019 წლის II კვარტალთან შედარებით 8.1 პროცენტით არის შემცირებული<sup>13</sup>. დასაქმებულთა რაოდენობა 2020 წლის პირველ ნახევარში მხოლოდ კახეთის მუნიციპალიტეტებში გაიზარდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, სხვა რეგიონებში კი შემცირდა (იხ. გრაფიკი 17). მთლიანად საქართველოში დასაქმება აღნიშნულ პერიოდში სამი პროცენტით შემცირდა.

<sup>13</sup> სანარმოთა საქმიანობის შედეგები (2020 წლის II კვარტალი), საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)




**გრაფიკი 17. დასაქმებულთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით – 2020 წლის პირველი ნახევრის შედარება 2019 წლის პირველ ნახევართან (%)**



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სექტორების მიხედვით დასაქმება, გარდა სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობისა, თითქმის ყველა სექტორში შემცირდა, განსაკუთრებით ხელოვნება, გართობა და დასვენების, მშენებლობის, ტრანსპორტისა და სხვა სახის მომსახურებებში (იხ. გრაფიკი 18).

**გრაფიკი 18. დასაქმებულთა წილი სფეროების მიხედვით – 2020 წლის პირველი ნახევრის შედარება 2019 წლის პირველი ნახევართან (%)**




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2020 წლის მეორე კვარტალში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ბიზნესსექტორში დასაქმება შემცირდა 8.1 პროცენტით, ხოლო წლის პირველ ნახევარში – 2.7 პროცენტით. ყველაზე მეტად შემცირდა დასაქმება ხელოვნება, გართობა-დასვენებისა და სხვა სახის მომსახურებაში (იხ. გრაფიკი 19).




**გრაფიკი 19. დასაქმებულთა წილი სფეროების მიხედვით — 2020 წლის მეორე კვარტლის შედარება 2019 წლის მეორე კვარტალთან (%)**



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ქალაქისა და სოფლის ქრილში დასაქმებულთა რაოდენობა უფრო მეტად შემცირდა ქალაქებში, ვიდრე სოფლად (იხ. გრაფიკი 20). ქალაქში ყველაზე მეტად გაიზარდა უმუშევრობის დონე, შემცირდა აქტივობა, ხოლო ამავე პერიოდში სოფლად უმუშევრობის დონე შემცირდა, რაც განპირობებული იყო იმით, რომ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობები გაზაფხულის პერიოდში არ იყო შეჩერებული.

**გრაფიკი 20. მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობა დასახლების ტიპის მიხედვით — 2020 წლის პირველი ნახევრის შედარება 2019 წლის პირველ ნახევართან (%)**



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2020 წლის პირველ ნახევარში 2019 წლის პირველ ნახევართან შედარებით სტაბილური დარჩა შრომის ანაზღაურება მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირებაში, იგი მცირედით გაიზარ-




და კიდევ, ხოლო მეორე კვარტალში შემცირდა 8 პროცენტით, რომლის ფორმირებაში (შემცირებაში) ყველაზე დიდი წილი არასასოფლო-სამეურნეო სფეროებს უკავია.

დასაქმების შემცირებასთან ერთად შემცირდა დაქირავებით დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებაც. 2020 წლის მეორე კვარტალში მან შეადგინა 1175 ლარი, როცა პირველ კვარტალში იყო 1227 ლარი. ხელფასები შემცირდა 4.3 პროცენტით. ამავე პერიოდში შრომითი დანახარჯები შემცირდა თითქმის ყველა სფეროში, გარდა ინფორმაციებისა და ტექნოლოგიებისა და განათლებისა.

2020 წლის პირველ ნახევარში განსაკუთრებით დაეცა დანახარჯები ხელოვნება, დასვენება და გართობის სექტორში (32.6 პროცენტი), მშენებლობაში (14.7 პროცენტი) და სხვა სახის მომსახურებაში (17.5 პროცენტი) (იხ. გრაფიკი 21).


**გრაფიკი 21. შრომითი დანახარჯები ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით – 2020 წლის პირველი ნახევრის შედარება 2019 წლის პირველ ნახევართან (%)**




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შრომითი დანახარჯები განსაკუთრებით შემცირდა მცირე საწარმოებში (13.1 პროცენტი) და საშუალო ზომის საწარმოებში (11.8 პროცენტი) (იხ. გრაფიკი 22).

**გრაფიკი 22. შრომითი დანახარჯები საწარმოს ზომის მიხედვით – 2020 წლის პირველი ნახევრის შედარება 2019 წლის პირველ ნახევართან (%)**




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური



მუნიციპალიტეტებში, სადაც მსხვილი საწარმოების დიდი რაოდენობაა თავმოყრილი (რუსთავი, ქუთაისი, თბილისი, ფოთი), შრომითი დანახარჯების შემცირება ნაკლებად მტკივნეული იყო, ვიდრე მცირე მუნიციპალიტეტებში. განსაკუთრებით შემცირდა დანახარჯები გურიის მუნიციპალიტეტებში (ჩოხატაური, ლანჩხუთი, ოზურგეთი) და აჭარის ტურისტულ ზონებში (ბათუმი, ქობულეთი).

შრომითი დანახარჯები შემცირდა ყველა რეგიონში, განსაკუთრებით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და გურიაში (იხ. გრაფიკი 23).

**გრაფიკი 23. შრომითი დანახარჯები რეგიონების მიხედვით – 2020 წლის პირველი ნახევრის შედარება 2019 წლის პირველ ნახევართან (%)**




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შრომითი დანახარჯების შემცირება დასაქმებისა და შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების შემცირებაზე აისახა. შემოსავლების შემცირებამ მოხმარების შემცირებაზეც მოახდინა გავლენა.

2020 წლის პირველ ნახევარში დაქირავებით დასაქმებულთა ხელფასები 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით არ შემცირდა, გარდა აჭარისა (იხ. გრაფიკი 24), თუმცა, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2020 წლის მეორე კვარტალში ყველა რეგიონში ხელფასები შემცირდა 1-1.5 პროცენტით როგორც 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან, ასევე 2020 წლის პირველ კვარტალთან შედარებით, რაც მნიშვნელოვნად განპირობებული იყო საწარმოების პროდუქციის გამოშვების შემცირებით.




**გრაფიკი 24. დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი რეგიონების მიხედვით – 2020 წლის ნახევრის შედარება 2019 წლის პირველ ნახევართან (%)**



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

პანდემიის გახანგრძლივებასთან დაკავშირებით უმუშევრობის ზრდა მომავალში გარდაუვალი ხდება. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის კვლევის თანახმად, დაქირავებით დასაქმებულ მშრომელთა საერთო რაოდენობის 30 პროცენტი სამსახურის დაკარგვის მაღალი რისკის წინაშე დგას, ხოლო თვითდასაქმებულთა 83.5 პროცენტს შემოსავლების ვარდნასთან და შემცირებულ ეკონომიკურ შესაძლებლობებთან გამკლავება მოუწევს<sup>14</sup>.

<sup>14</sup> ლევან ფავლენიშვილი, ანა ბურდული, მარიამ კაცაძე, გიორგი პაპავა, COVID-19-ის სოციალური ეფექტი – უნივერსალური დახმარების შემოღების საფუძველი? თსუ, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა, [https://drive.google.com/file/d/1O\\_6b3eglhQXSeTzoTlX8G90tRjh87E\\_/view](https://drive.google.com/file/d/1O_6b3eglhQXSeTzoTlX8G90tRjh87E_/view)



## COVID-19-ის გავლენა ტურიზმზე

ცხადია, რომ პანდემიის გამო მნიშვნელოვნად შემცირდება ეკონომიკური აქტივობა ყველა რეგიონში, რაც ძირითადად შიდა და გარე მოთხოვნის შემცირებით იქნება განპირობებული. პანდემიის პირობებში ეკონომიკაში სამეწარმეო საქმიანობა გრძელდებოდა, მაგრამ დარგები განსხვავებულ კრიზისში აღმოჩნდნენ. ყველაზე დიდი დარტყმა ტურიზმს მიაღწა საზღვარგარეთიდან შემოსული ვიზიტორებისა და ტურისტების ნაკადების რადიკალური შემცირების გამო. განსაკუთრებულ შოკში აღმოჩნდა მასთან დაკავშირებული სანარმოები, სასტუმროები, რესტორნები, კვების ობიექტები, ტრანსპორტი და სხვა. სავარაუდოდ, ეს პროცესი გაგრძელდება მთელი წლის განმავლობაში.

ტურიზმის სექტორი ბოლო წლებში საქართველოს ეკონომიკური აქტივობის მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალა იყო. ტურიზმის სექტორში დასაქმებულებს ღრმა და ხანგრძლივი უმუშევრობის საფრთხე დაემუქრათ.

ტურიზმი საერთაშორისო ეკონომიკის მნიშვნელოვანი სექტორია. 2019 წელს ტურიზმის სექტორმა მოიკვა მსოფლიო სერვისების ექსპორტის 29 პროცენტი და მსოფლიოს მასშტაბით ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა რაოდენობამ 300 მილიონი შეადგინა<sup>15</sup>.

ტურიზმი იმ ეკონომიკურ სექტორებს შორისაა, რომელზეც ყველაზე მეტად გავლენას ახდენს COVID-19-ის პანდემია. გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის შეფასებით (გაეროს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია) COVID-19-ის პანდემიის გამო საერთაშორისო მოგზაურობის ვიზიტების რაოდენობა 1.1 მლრდ-მდე შემცირდება, რაც ტურიზმის სექტორს მსოფლიოს მასშტაბით 1.1 ტრლნ. დოლარამდე დააზარალებს, ხოლო დასაქმებულთა რიცხვი ეკონომიკის ამ სფეროში შემცირდება 100-120 მილიონით და ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როდის მოიხსნება ქვეყნებს შორის გადაადგილების შეზღუდვები<sup>16</sup>.

ტურიზმი არაპირდაპირ გავლენას ახდენს დასაქმებაზე ეკონომიკის ისეთ სფეროებში, როგორებიცაა მშენებლობა და ინფრასტრუქტურა, სურსათით და სასმლით უზრუნველყოფა და სუვენირებით ვაჭრობა. გარდა ამისა, ტურიზმთან პირდაპირ არის დაკავშირებული ისეთ სექტორებში დასაქმება, რომელთაც პირდაპირი კავშირი აქვთ ტურიზმთან. ასეთებია: ტურისტული სააგენტოები, მგზავრთა საჰაერო გადაზიდვები, საკრუიზო მომსახურება, სასტუმროები, რესტორნები, სავაჭრო ცენტრები და ტურისტული ღირსშესანიშნაობები.

ტურიზმმა, როგორც ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთმა პრიორიტეტულმა დარგმა, პანდემიის გამო ყველაზე მნიშვნელოვანი ვარდნა საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში განიცადა, რაც გამონვეული იყო, გადაადგილების შეზღუდვით, რომელიც შემოღებული იქნა არა მარტო საქართველოს, არამედ ქვეყნების უმრავლესობის მიერ, რათა თავიდან აეცილებინათ ვირუსის სწრაფი გავრცელება.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, ქვეყანაში ივლისში საერთაშორისო მოგზაურთა რიცხვი 95.6 პროცენტით შემცირდა. 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საერთაშორისო ვიზიტორთა რიცხვი 94.8 პროცენტით დაეცა, ხოლო საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა 93.5 პროცენტით შემცირდა და 2020 წლის პირველ

<sup>15</sup> COVID-19 and Tourism, Assessing the Economic Consequences, Badri Narayanan Gopalakrishnan, Ralf Peters and David Vanzetti, UNCTAD, [https://unctad.org/system/files/official-document/ditcinf2020d3\\_en.pdf](https://unctad.org/system/files/official-document/ditcinf2020d3_en.pdf)

<sup>16</sup> იქვე.




ნახევარში 2019 წლის პირველ ნახევართან შედარებით შემოსავლებმა უცხოური ტურიზმიდან თითქმის 1.1 მლრდ დოლარით ნაკლები შეადგინა.<sup>17</sup>

2019 წლის მონაცემებით, საქართველოს ტურიზმის შემოსავლების ფარდობამ მშპ-თან 21 პროცენტი შეადგინა, საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობამ კი — 9,357,964, რაც 2018 წლის მონაცემს 7.8 პროცენტით აღემატება<sup>18</sup>.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, 2019 წლის პირველ კვარტალში საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რიცხვმა 1,617,548 ტურისტი შედგინა. ტურისტების შემცირება დაიწყო 2020 წლის თებერვლისა და მარტის თვეებში, შესაბამისად, 3,136 და 284,459 მოგზაურით. 2020 წლის პირველ კვარტალში მათი რიცხვი 284,459-ით შემცირდა და კლებამ 18 პროცენტი შეადგინა. მიუხედავად იანვარში დაფიქსირებული 19 პროცენტით ზრდისა, კლება უფრო საგრძნობი გახდა მიმდინარე წლის მეორე კვარტალში. ვიზიტორთა რიცხვი 95 პროცენტით შემცირდა და შეადგინა 114,119 ადამიანი 2019 წლის მეორე კვარტალის 2,244,896 ვიზიტორთა რაოდენობასთან შედარებით, ხოლო 2020 წლის ივლისის მონაცემებით, საერთაშორისო მოგზაურების რიცხვმა 48,535 შეადგინა, რაც 2019 წლის ივლისის ანალოგიური მაჩვენებლის 4.4 პროცენტია<sup>19</sup>.

სულ 2020 წლის 7 თვეში საქართველოში შემოვიდა 1,495,743 საერთაშორისო მოგზაური, რაც ვიზიტორთა 70 პროცენტით შემცირების ტოლფასია (იხ. გრაფიკი 25). აპრილიდან ივლისამდე კლებამ 95 პროცენტი შეადგინა.

**გრაფიკი 25. საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა თვეების და კვარტალების მიხედვით 2019-2020 წწ.**



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

2020 წლის მეორე კვარტალში შემცირდა ასევე, საქართველოს რეზიდენტების მიერ ქვეყნის ტერიტორიაზე განხორციელებული ტურისტული ტიპის ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობა — 31.4 პროცენტით, წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით.


2019 წელს საქართველომ საქონლის და მომსახურების ექსპორტიდან 9.5 მლრდ აშშ დოლარი მიიღო, საიდანაც ტურიზმის შემოსავალმა 3.3 მლრდ აშშ დოლარი (ჯამურის 34 პროცენტი) შეადგინა. 2020 წლის პირველ 8 თვეში მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავალმა 483 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 78 პროცენტით ნაკლებია 2019 წლის პირველ 8 თვესთან შედარებით და 1.8 მილიარდი დოლარით კლებას მიუთითებს<sup>20</sup>.

<sup>17</sup> საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, <https://gnta.ge/>

<sup>18</sup> COVID-19-ის შესაძლო გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე (არსებული მდგომარეობა და პროგნოზების მიმოხილვა). საქართველოს პარლამენტის კვლევების ცენტრი. 4 მაისი, 2020, N 03/08

<sup>19</sup> საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია <https://gnta.ge/>

<sup>20</sup> გიორგი კაკაურიძე — 8 თვის მონაცემებით, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 78%-ით არის შემცირებული, რაც დაახლოებით 1,8 მილიარდ დოლარიან კლებას ნიშნავს, ინტერპრესნუსი, 10.09.2020, <https://www.interpressnews.ge/ka/article/617524-giorgi-kakaurize-8-tvis-monacemebit-turizmidan-migebuli-shemosavlebi-78-it-aris-shemcirebuli-rac-daaxloebit-18-mil-iard-dolarian-klebas-nishnavs>




საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, დედაქალაქის შემდეგ უცხოელი ტურისტების ყველაზე პოპულარული ადგილებია: აჭარა (30.2 პროცენტი), ქვემო ქართლი (17 პროცენტი) და მცხეთა-მთიანეთი (16.9 პროცენტი). დანარჩენ რეგიონებს შედარებით მცირე რაოდენობის ვიზიტორები სტუმრობენ: სამცხე-ჯავახეთს — 6.6 პროცენტი, კახეთს — 6.5 პროცენტი, იმერეთს — 4.9 პროცენტი, შიდა ქართლს — 3.1 პროცენტი, სამეგრელო-ზემო სვანეთს — 2.8 პროცენტი, გურიას — 1.3 პროცენტი, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთს — 0.2 პროცენტი. მუნიციპალიტეტების მიხედვით კი ყველაზე პოპულარულია: ბათუმი (28.9 პროცენტი), ქუთაისი (4.6 პროცენტი), გუდაური (4.5 პროცენტი), სიღნაღი (3.7 პროცენტი), რუსთავი (3.7 პროცენტი), ბორჯომი (3.1 პროცენტი), ქობულეთი (2.8 პროცენტი), მარნეული (11.4 პროცენტი), ყაზბეგი (8.3 პროცენტი) და მცხეთა (6.8 პროცენტი)<sup>21</sup>.

2020 წელს საერთაშორისო ვიზიტების შემცირება პროპორციულად გამოიწვევს მისგან მიღებული შემოსავლების კლებას და ყველაზე დიდი ზიანი იმ რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებს მიაღებება, სადაც ყველაზე მაღალი იყო ტურისტების შემოდინება და მეტად იყვნენ დამოკიდებული უცხოელ ტურისტებზე (მათ შორის — მცხეთა, ბორჯომი, ბათუმი და სხვ).

როგორც კვლევა ადასტურებს, ყველაზე მეტად ტურიზმის სექტორთან დაკავშირებულმა მცირე და საშუალო ზომის საწარმოებმა განიცადა შემცირება. გამოკითხულთა თითქმის ნახევარი ასახელებს, რომ მათ საშუალოდ 30-60 პროცენტით შეუმცირდათ წარმოება (იხ. გრაფიკი 26).

**გრაფიკი 26. COVID-19-ის შედეგად ტურიზმში ჩართული ბიზნესსუბიექტების მიერ განცდილი ზარალი მუნიციპალიტეტების მიხედვით (%)**



მართალია, შიდა ტურიზმი ერთ-ერთი საშუალებაა კრიზისის შესამსუბუქებლად, მაგრამ საქართველოში მისი წილი დაბალია და იგი ვერ შეძლებს საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული ზიანის კომპენსაციას. შესაბამისად, დგება მისი მხარდაჭერის საკითხი. კვლევის ფარგლებში მუნიციპალიტეტებში გამოკითხული სასტუმროების, კვების მცირე და საშუალო ობიექტების მწარმოებლები ყველაზე მნიშვნელოვან მხარდაჭერად მიიჩნევენ სახელმწიფოს მიერ გაცემული გრანტებისა და სესხების სუბსიდირებას. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2020 წლის პირველ ორ კვარტალში სასტუმროებსა და რესტორნებზე გაცემულია იმ

<sup>21</sup> საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2019, <https://gnta.ge/wp-content/uploads/2020/09/2019-1.pdf>



სესხის მხოლოდ 45 პროცენტი, რომელიც გაიცა 2019 წელს, კრიზისის მოსალოდნელი ხანგრძლივობის გათვალისწინებით, სექტორს მომდევნო პერიოდშიც დასჭირდება საბანკო ვალდებულებების შემსუბუქება.


ტურისტული სექტორის შეფერხებამ მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა სავალუტო შემოდინებებს, რამაც ადეკვატური ასახვა პოვა ლარის კურსის სტაბილურობაზე. ტურიზმიდან შემოსავლები, უცხოეთიდან შემოსულ ფულად გზავნილებთან და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან ერთად, ლარის კურსის გამყარების მნიშვნელოვან წინაპირობას ქმნიდა.

Galt & Taggart-ის პროგნოზის თანახმად, 2020 წელს, საქართველოში ტურიზმის სექტორში მოსალოდნელი დანაკლისი ოპტიმისტური სცენარის მიხედვით, 1.2 მილიარდი აშშ დოლარი იქნება, შუალედური სცენარის მიხედვით — 2.0 მილიარდი აშშ დოლარი, ხოლო პესიმისტური სცენარის მიხედვით — 2.8 მილიარდი აშშ დოლარი<sup>22</sup>.

## COVID-19-ის პირობებში ბიზნესის მხარდაჭერის მექანიზმები და ხელისუფლების როლი

კვლევის თანახმად, კითხვაზე, რომელი რესურსი დაგეხმარებათ/დაგეხმარათ ბიზნესსაქმიანობის წარმართვაში, რესპონდენტთა უმრავლესობამ საქართველოს მასშტაბით და რეგიონების მიხედვით აჩვენა, რომ პანდემიის პირობებში, სახელმწიფოს დახმარებები და საკუთარი ძალისხმევა არის მათი საქმიანობის განმსაზღვრელი ძირითადი ორი ფაქტორი. რესპონდენტთა უმეტესობა — 53 პროცენტი, მხოლოდ საკუთარ, ხოლო 14 პროცენტი — თავის და ოჯახის წევრების იმედზე არიან. გამოკითხულთა 25 პროცენტი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს ერთჯერადი და მრავალჯერადი დახმარებები, სახელმწიფოს სუბსიდირება, სახელმწიფოს გრანტი, საშემოსავლო გადასახადის გადავადება, განბაჟების გადავადება და სესხის რესტრუქტურირაცია არის ის მნიშვნელოვანი რესურსი, რაც მათ დაეხმარებათ პანდემიის პირობებში ბიზნესსაქმიანობის გაგრძელებაში (იხ. გრაფიკი 27).

**გრაფიკი 27. რესურსი, რომელიც დაეხმარება/დაეხმარა საწარმოებს ბიზნესსაქმიანობის წარმართვაში რეგიონების მიხედვით (%)**




<sup>22</sup> COVID-19-ის შესაძლო გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე (არსებული მდგომარეობა და პროგნოზების მიმოხილვა). საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი. 4 მაისი, 2020, [http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/136520/08\\_Viewpoint\\_2020-05-04\\_Covid\\_19\\_and\\_Georgian\\_economy](http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/136520/08_Viewpoint_2020-05-04_Covid_19_and_Georgian_economy)



მუნიციპალიტეტების მიხედვით კითხვაზე, თუ ბიზნესის წარმართვაში რომელი რესურსი დაეხმარა, საკუთარი თავი დაასახელა თელავში გამოკითხულთა 46-მა პროცენტმა, ხოლო დანარჩენ მუნიციპალიტეტებში — გამოკითხულთა 50 პროცენტზე მეტმა. სახელმწიფოს ერთჯერადი და მრავალჯერადი დახმარებები, სუბსიდირებები და გრანტები, როგორც ბიზნესის წარმართვის რესურსი, ქუთაისის მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა 11-მა პროცენტმა დაასახელა, ხოლო ყველაზე მეტმა — 40 პროცენტი — ოზურგეთის მუნიციპალიტეტში (იხ. გრაფიკი 28).

**გრაფიკი 28. რესურსი, რომელიც დაეხმარება/დაეხმარა საწარმოებს ბიზნესსაქმიანობის წარმართვაში მუნიციპალიტეტების მიხედვით (%)**



რაც შეეხება დასაქმებულთა პერსონალის შემცირებას, ყველა რეგიონში საშუალოდ, რესპონდენტთა მხოლოდ 3-მა პროცენტმა უპასუხა დადებითად (იხ. გრაფიკი 27). ამ კითხვაზე გორის მუნიციპალიტეტში 10-მა პროცენტმა უპასუხა დადებითად, ხოლო რუსთავის მუნიციპალიტეტში — მხოლოდ 2-მა პროცენტმა (იხ. გრაფიკი 28), რაც იმის მანიშნებელია, რომ 2020 წლის პირველ ნახევარში საწარმოს საქმიანობის გასაგრძელებლად მენარმეების მხოლოდ მცირე ნაწილმა მიმართა დასაქმებულთა შემცირების პრაქტიკას. შესაბამისად ამ პერიოდში, შრომის ბაზრის მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა, რაც განპირობებული იყო სახელმწიფოს ანტიკრიზისული ღონისძიებებით, კერძოდ, მთავრობის მიერ გაცხადებული სუბსიდირების პოლიტიკით იმ საწარმოებზე, რომლებიც შეინარჩუნებდნენ დასაქმებულებს. დასაქმების ამ პოლიტიკამ გარკვეულწილად გაანეიტრალა უმუშევრობის ზრდა, მაგრამ შემდგომ პერიოდში, პანდემიის ხანგრძლივობის შესაბამისად, შრომის ბაზრის სტრუქტურა შეიცვლება და მოსალოდნელია უმუშევრობის ზრდა.


აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ერთობლივი მოთხოვნის მოსალოდნელი შემცირება უარყოფით გავლენას მოახდენს საწარმოების პროდუქციის გამოშვებაზე და დასაქმებაზე. პანდემიის პირობებში საწარმოების სტრატეგია შრომის ბაზარზე არის პასიური. ისინი განიცდიან როგორც გამოცდილი კადრების, ასევე კადრების უნარ-ჩვევების არასაკმარის დონეს, განსაკუთრებით — კრიზისის მართვის მიმართულებით. პანდემიის პირველი ტალღის პერიოდში მათი გადამზადება ხდებოდა მხოლოდ სანიტარიული-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიმართულებით.

მენარმეები ხელისშემშლელ მიზეზად ასახელებენ ასევე, საწარმოს საქმიანობის შესახებ გამოცდილების ნაკლებობას (იხ. გრაფიკი 16). თუმცა, მათი აქცენტი ძირითადად, სახელმწი-




ფოს მხარდაჭერის ინსტრუმენტებზეა მიმართული. ისეთ ფაქტორებს კი, როგორცაა კონტაქტები პარტნიორებთან, არაკონკურენტუნარიანობა, არაკვალიფიციური კადრები და სხვა, რესპონდენტები შედარებით ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ (იხ. გრაფიკი 29), რაც იმაზე მეტყველებს, რომ ბიზნესის მართვაში საპარტნიორო ქსელს დროებითი ხასიათი აქვს და კავშირი მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის ან მწარმოებლებს შორის არ არის მკაცრად განსაზღვრული. ამ თვალსაზრისით, მინოდების ღირებულების ზრდის პროცესში საწარმოების ერთმანეთზე გავლენა შედარებით ნაკლებ ზემოქმედებას ახდენდა მათ საქმიანობაზე. ამ გარემოების გამო გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა თვლის, რომ სახელმწიფოს დახმარებები მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ საქმიანობაში და მთავარი რესურსი, რომელიც მომავალში მათ ბიზნესის წარმართვაში უნდა დაეხმაროს, სახელმწიფოს დახმარებებია (25 პროცენტი).


**გრაფიკი 29. საწარმოების სახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმების მნიშვნელობა რეგიონების მიხედვით (%)**



მეწარმეების ინტერესი და იმედი სახელმწიფო მხარდაჭერასა და პროგრამებზე საკმაოდ მაღალია. რესპონდენტთა მოლოდინი მთავრობის მიმართ გულისხმობს მთავრობის გრანტებს, გადასახადების გადავადებასა და სესხების სუბსიდირებას (შესაბამისად, რესპონდენტთა 59 პროცენტი, 10 პროცენტი, 15 პროცენტი) (იხ. გრაფიკი 29). რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ინსტრუმენტები მხარდაჭერის ძლიერი მექანიზმია მათი ბიზნესისთვის. რეგიონების მიხედვით სესხების რესტრუქტურირაციის დიდ მნიშვნელობას რესპონდენტთა საშუალოდ 9 პროცენტი ასახელებს. თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში სახელმწიფოს დახმარებები აღიარებულია მხარდაჭერის არსებით მექანიზმად (იხ. გრაფიკი 30).




**გრაფიკი 30. საწარმოების სახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმების მნიშვნელობა მუნიციპალიტეტების მიხედვით (%)**



**ინტერნეტ-ქსელები და კავშირები მომხმარებლებთან და მიმწოდებლებთან**

მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა საბაზრო ინტეგრაციის დონე არ არის ღრმა, მცირე მენარმეები ელექტრონულ მარკეტინგში ნაკლებად აქტიურები არიან, რაზეც გამოკითხვისას დაგზავნილი და გაუქმებული ანკეტების რაოდენობა მეტყველებს. ელექტრონულ ფოსტას ყოველი 10 საწარმოდან მხოლოდ 6 იყენებს. ეს მაჩვენებელი ავლენს ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების დაბალ დონეს საქართველოს მუნიციპალიტეტებში. გამოკითხვა აჩვენებს, რომ ელექტრონული ქსელი ეფექტურად არ არის გამოყენებული. რესპონდენტთა მხოლოდ 2 პროცენტი აცხადებს, რომ პროდუქციის გაყიდვებს ახორციელებს ინტერნეტით, ხოლო 50 პროცენტი აცხადებს, რომ მხოლოდ ანგარიშსწორებისას მიმართავენ ელექტრონულ გადარიცხვებს (50 პროცენტი).

**გრაფიკი 31. ინტერნეტის გამოყენება პარტნიორებთან და მომხმარებელთან ურთიერთობისას რეგიონების მიხედვით (%)**






საქართველოში მენარმეებს, რომლებსაც არ აქვთ ინტერნეტ-ქსელზე წვდომა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ წარმატებული ბიზნესი ჰქონდეთ პანდემიის პერიოდში მოთხოვნილი დისტანციური მართვის პირობებში. ეს გარემოება მნიშვნელოვნად ამცირებს მათი საქმიანობის ეფექტიანობას.

გამოკითხული მენარმეების საქმიანობის დიდი ნაწილი ადგილობრივი მნიშვნელობისაა. მათი ღირებულების ზრდის პროცესი ხანმოკლე ციკლს მოიცავს, რომელიც უარყოფითად მოქმედებს მათ ანტიკრიზისულ მართვაზე, ხელს უშლის კლასტერებისა და ღირებულების ზრდის პროცესს და შესაბამისად აბრკოლებს საწარმოების ინტეგრაციას ღირებულებათა ზრდის ჯაჭვში. მიუხედავად ამისა, გამოკითხვით გამოვლინდა ბიზნეს ქსელის, როგორც მენარმეობის მხარდამჭერი მექანიზმების მნიშვნელობა. მხოლოდ მცირე რაოდენობის საწარმო იძულებული გახდა მომხმარებელთა შენარჩუნების მიზნით არსებული რეალობიდან გამომდინარე, შეეთავაზებინათ თავისი პროდუქტი განსხვავებული მიწოდების გზით, ძირითადად ინტერნეტით.

ბათუმში, ქუთაისში, მცხეთაში, ბორჯომში გაყიდვებს ინტერნეტით ახდენს გამოკითხულთა 20 პროცენტზე მეტი, სხვა ქალაქებში ძირითადად ანგარიშსწორება ხდება ინტერნეტით, ხოლო გამოკითხულთა დიდ ნაწილს კი ინტერნეტის გამოყენებასთან დაკავშირებით არ აქვთ გეგმა და არც შესაბამისი რესურსი.


**გრაფიკი 32. ინტერნეტის გამოყენება პარტნიორებთან და მომხმარებელთან ურთიერთობისას მუნიციპალიტეტების მიხედვით (%)**



მცირე და საშუალო მენარმეები ვერ იყენებენ ბიზნესქსელებს ინტერნეტით პროდუქციის ხელშეწყობისა და ერთობლივი რეკლამირებისათვის. თუმცა, რესპონდენტები აღიარებენ, რომ ინტერნეტი მათ ბიზნესს წინსვლის პროცესში დაეხმარება. მუნიციპალიტეტებში ქსელის როგორც ბიზნესის გაძლიერების რესურსის შესახებ ცნობადობა საკმაოდ მაღალია.




**გრაფიკი 33. ინტერნეტის მნიშვნელობა ბიზნესის მართვის პროცესში რეგიონების მიხედვით (%)**



რესპონდენტების აზრით, შექმნილი კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლაში მათ მნიშვნელოვნად დაეხმარება შემდეგი ღონისძიებები: კონსულტაციები, ბიზნესპარტნიორებთან სოციალური მხარდაჭერის ქსელის არსებობა, მხარდაჭერა რომ ინტერნეტით განახორციელონ პროდუქციის გაყიდვები, პარტნიორებთან ურთიერთობა, ნედლეულის შესყიდვა, საწარმოს შესახებ ინფორმაციის გავრცელება და სხვა.

**გრაფიკი 34. ინტერნეტის მნიშვნელობა ბიზნესის მართვის პროცესში მუნიციპალიტეტების მიხედვით (%)**



კვლევა ავლენს, რომ პანდემიამ დიდი გავლენა იქონია ბიზნესორგანიზაციებზე და მათი საქმიანობის თავისებურებებზე. სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული ანტიკრიზისული მართვის ბერკეტს წარმოადგენს მომხმარებლებთან და პარტნიორებთან დისტანციურად ურთიერთობა და ამ მიზნით ინტერნეტისა და კომუნიკაციის სხვა ქსელების ინტენსიურად გამოყენება.



პანდემიასთან დაკავშირებული რისკების წინასწარ განჭვრეტა მენარმეებისათვის შეუძლებელი იყო. ისინი მზად არ იყვნენ ამისათვის წინასწარ მომზადებული ანტიკრიზისული გეგმებით. უფრო მეტიც, ფინანსური სირთულეების წარმოშობისთანავე აღმოჩნდნენ საკრედიტო ვალდებულების რესტრუქტურირების საჭიროების, ხოლო პანდემიასთან დაკავ-


შირებული შეზღუდვების გამო — ბიზნესის მართვის რეორგანიზაციისა და დისტანციურად მართვის მეთოდების დანერგვის აუცილებლობის წინაშე.


### ხელისუფლების მიერ განული ძალისხმევა პანდემიის პირობებში

გამოკითხვისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა რესპონდენტების პასუხს, თუ როგორ აფასებდნენ ისინი მთავრობის ღონისძიებებს, რომლებიც გატარდა პანდემიის პერიოდში. ისევე როგორც ბიზნესექტორში, ადგილობრივი ხელისუფლებისათვის კორონავირუსი იყო სრულიად ახალი გამოწვევა, რომლის გასაწვრთვლად ის სამოქალაქო აქტივისტებთან ერთად ახდენდა როგორც რესურსების მობილიზებას, ასევე საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებისთვის აუცილებელი დახმარების აღმოჩენას, ინფორმაციების გავრცელებას, მინიმალური საარსებო საშუალებების მიწოდების ორგანიზებას, კონტროლს ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების განხორციელებაზე და სხვ. შესაბამისად, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გატარებულ ღონისძიებებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისა და მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების გამოვლენა, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადაზიდვების ორგანიზება და სხვ.

კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს რეგიონებში საშუალოდ, რესპონდენტთა 38 პროცენტი ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გატარებულ ღონისძიებებს მიიჩნევს ძალიან მნიშვნელოვნად, 45 პროცენტი — მნიშვნელოვნად და 18 პროცენტი — უმნიშვნელოდ. მნიშვნელოვნად მიაჩნია იმერეთში გამოკითხულთა 74 პროცენტს, ხოლო კახეთში — 25 პროცენტს (იხ. გრაფიკი 35). ასეთი განსხვავება სავარაუდოდ, განპირობებულია იმით, რომ გამოკითხვის პერიოდში იმერეთის ინდუსტრიულად განვითარებული მუნიციპალიტეტები განიცდიდნენ ხელშეწყობის უფრო მწვავე მოთხოვნას, ვიდრე კახეთის მუნიციპალიტეტები, სადაც მენარმეები სოფლის მეურნეობის სეზონური წარმოებით არიან დაკავებულნი.


გრაფიკი 35. ხელისუფლების მიერ ჩატარებული ღონისძიებების შეფასება რეგიონების მიხედვით (%)





მუნიციპალიტეტების მიხედვით, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლებისა და ცენტრალური ხელისუფლების საქმიანობა წლის პირველ ნახევარში უპირატესად მნიშვნელოვნად და ძალიან მნიშვნელოვნად არის აღიარებული. ინდუსტრიულად განვითარებულ ქუთაისში მნიშვნელოვნად და ძალიან მნიშვნელოვნად მიაჩნია ეს საქმიანობა გამოკითხულთა 96 პროცენტს, ბათუმში — 93 პროცენტს, თელავში — 84 პროცენტს (იხ. გრაფიკი 36).

**გრაფიკი 36. ხელისუფლების მიერ ჩატარებული ღონისძიებების შეფასება მუნიციპალიტეტების მიხედვით (%)**



კითხვაზე — როგორ შეაფასებთ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ძალისხმევას პანდემიის პირობებში? — რესპონდენტებს, როგორც ჩანს, მხედველობაში ჰქონდათ ის ღონისძიებები, რომლებსაც საგანგებო მდგომარეობის მართვის ოპერატიული შტაბი ახორციელებდა მუნიციპალიტეტების დახმარებით პანდემიის გავრცელების შეზღუდვის მიზნით. ამ თვალსაზრისით, ხელისუფლების როგორც მხარდაჭერი ინსტიტუტის შესახებ შეფასებები დადებითია კარანტინის ზონებშიც (მაგალითად, ქვემო ქართლში), სადაც ადგილობრივი ხელისუფლება ჩართული იყო სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზრებამდე ტრანსპორტირების ორგანიზებაში. მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა ადგილობრივი მენარმეებისათვის ადგილობრივი ხელისუფლების განკარგულებაში არსებული ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების სიმწირის პირობებში შეზღუდული იყო. გარდა ამისა, ისევე როგორც ბიზნესსექტორში, მუნიციპალიტეტებშიც განვითარების გრძელვადიანი ხედვა ეპიდემიის პირობებში სამენარმეო საქმიანობის წარმართვის შესახებ არ არსებობს. მუნიციპალიტეტების განვითარების საშუალოვადიანი გეგმები არის ეპიდემიის გავრცელებამდე შედგენილი და მათ უმრავლესობაში ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად ტურიზმის განვითარება არის მიჩნეული, რომლის აღორძინება სავარაუდოდ, მომდევნო წელსაც პრობლემური იქნება. ახალი გამოწვევები აუცილებელს ხდის მუნიციპალიტეტების გეგმების გადახედვას და შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით ახალი რეალისტური მიზნების დასახვას.


### **ბიზნესის სტრატეგიული გეგმები**

ახალი რეალობა ეკონომიკის მართვის მოქნილი სისტემის ფორმირებას მოითხოვს. ამისათვის კი აუცილებელია ახალი სტრატეგიული გეგმები, რომლებიც კრიზისების პირობებში




ეფექტურად წარმართავს ბიზნესსაქმიანობას, თუმცა, როგორც გამოკითხვამ აჩვენა, ამისთვის საწარმოები არ იყვნენ მზად და არ გააჩნდათ კრიზისების მართვის ხედვა. რეგიონებში ანტიკრიზისული გეგმის არსებობას ადასტურებს გამოკითხულთა საშუალოდ 8 პროცენტი (იხ. გრაფიკი 37).

**გრაფიკი 37. საწარმოებში ანტიკრიზისული სტრატეგიის არსებობა რეგიონების მიხედვით (%)**



ანტიკრიზისული გეგმის არქონას ადასტურებენ საწარმოები მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში. გამონაკლისია მხოლოდ მსხვილი მუნიციპალიტეტები – ბათუმი, ქუთაისი და რუსთავი, სადაც რესპონდენტთა 10 პროცენტზე ნაკლებს აქვს ანტიკრიზისული გეგმა (იხ. გრაფიკი 38).

**გრაფიკი 38. საწარმოებში ანტიკრიზისული სტრატეგიის არსებობა მუნიციპალიტეტების მიხედვით (%)**





## დასკვნები და რეკომენდაციები

პანდემია ორი გზით ზემოქმედებს ეკონომიკაზე: ერთი მხრივ, იზოლაცია იწვევს ეკონომიკური აქტივობების შემცირებას, მეორე მხრივ კი, განსაკუთრებით მგრძობიარედ მოქმედებს სიღარიბის ზღვარზე მყოფ მოსახლეობაზე.

პანდემიის პირობებში საქართველოში გაიზარდა მოთხოვნა სახელმწიფო ფინანსებზე და სოციალური საჭიროებებისკენ მათ მიმართვაზე. ასევე გაიზარდა მოთხოვნა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობაზე, მათ შორის ბანკების ვალების რეკონსტრუქციასა და გადავადებაზე, რაც საბანკო სისტემის მდგრადობაზე უარყოფითად მოქმედებს<sup>23</sup>.

პანდემიით გამოწვეული კრიზისი არსებითად, მოხმარების შემცირების სანინააღმდეგო ღონისძიებების გატარებას მოითხოვს, შესაბამისად, მოთხოვნაზე ორიენტირებული პოლიტიკის წარმართვა ხდება დომინირებული სოციალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. პარალელურად იზრდება სახელმწიფო დანახარჯები რათა გაკოტრებას გადაარჩინოს მცირე და საშუალო ბიზნესსუბიექტები, ტურისტული და ვაჭრობის სექტორები და აირიდოს მძიმე სოციალური პრობლემები. გადასახადებიდან შემოსავლების შემცირების ფონზე სოციალური მიზნებისათვის და ბიზნესსაქმიანობის შენარჩუნებისათვის სახელმწიფოს დახმარებების მიუხედავად, მნიშვნელოვნად იცვლება საფინანსო და სასაქონლო ბაზრების მდგომარეობა და მცირდება მისი მასშტაბები.

ჯერჯერობით არ არის ცნობილი, კორონავირუსის ზემოქმედება რამდენ ხანს გასტანს, რამდენად შეძლებს ქვეყანა და ბიზნესი ადაპტირებას და რა დანაკარგებით განხორციელდება ეს ცვლილებები. ცალკეული შედეგი უკვე ცნობილია, მათ შორის: მცირე და საშუალო ბიზნესსუბიექტების გაკოტრება, ტურიზმისა და ავიაციის სექტორის ჩამოშლა, ინვესტიციების ვარდნა, უმუშევრობის გაზრდა, სახელმწიფოს ვალების ზრდა და ა.შ.

გამოცდილება, რომელიც კრიზისმა უკვე მისცა ქვეყანას, არის ვაჭრობაში, განათლებაში, საკონსულტაციო მომსახურებასა და სხვა დარგებში ინტერნეტით სერვისების განვითარება და უფრო მეტი ინვესტიციის დაბანდება IT-ტექნოლოგიებში. ამასთან, რეგიონების ინტერესებში შედის ადგილობრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენება, რათა თავად აწარმოონ მნიშვნელოვანი პროდუქტები და შექმნან თვითკმარი ეკონომიკა. ეს კი დამატებით მოთხოვნებს ქმნის სოფლის მეურნეობაზე და განსაკუთრებით, გადამმუშავებელ მრეწველობაზე. გარდა ამისა, პანდემიურ და პოსტპანდემიურ პერიოდებში საჭირო ხდება კრიზისების მართვის ძლიერი მექანიზმის შექმნა და ღირებულებათა და მიწოდებათა ჯაჭვების დივერსიფიკაცია. ცხადია, რომ ეკონომიკური აქტივობის აღდგენა ავტომატურად არ მოხდება, ამიტომ საჭიროა სახელმწიფოს მიერ კონკრეტული მიმართულების კერძო საწარმოების მიზნობრივი მხარდაჭერა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ სახელმწიფო ხანგრძლივი პერიოდით ვერ შეძლებს დახმარებისა და მხარდაჭერის ღონისძიებების გატარებას<sup>24</sup>.

ეკონომიკის გაჭანსალება დამოკიდებულია არაეკონომიკურ ინსტრუმენტებზე, იმაზე, თუ რამდენად სწრაფად შეძლებს ჯანდაცვის სფერო ეფექტიანი ვაქცინის შექმნას. გრძელვადიანი პანდემია სულ უფრო მეტ ტვირთად დააწვება სახელმწიფოს, კიდევ უფრო მოთხოვნადი

<sup>23</sup> მსოფლიოში ეკონომისტები ადამიანური ფაქტორის ხელშეწყობასა და ბიზნესის სავალო დახმარებებს და ორი წლის განმავლობაში ამ ვალებზე მორატორიუმს განიხილავენ როგორც პანდემიის შედეგების აღმოფხვრის ყველაზე ეფექტურ საშუალებას. იხ: Gordon Brown, Lawrence H. Summers., Debt Relief Is the Most Effective Pandemic Aid; 5 April, 2020, Project Syndicate.

<sup>24</sup> Skidelsky, R., The Crowding-Out Myth; 24 August, 2020, Project Syndicate.




გახდება ანტიკრიზისული პროგრამები, რომლის ზემოქმედების ეფექტი სიღარიბესა და ბიზნესსექტორის შენარჩუნებაზე დროთა განმავლობაში შემცირდება და ეკონომიკას ახალი სირთულეები დაემუქრება.

პანდემიის გავრცელების პრევენციისთვის გატარებულმა ზომებმა, მათ შორის, საზღვრების ჩაკეტვამ, ქალაქებს შორის მოძრაობის აკრძალვამ, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამ და სოციალური დისტანცირების მოტივით ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვამ, მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა ეკონომიკურ ზრდას. კორონავირუსის გავლენა საქართველოში ეკონომიკის ყველა სფეროზე აისახა და ეკონომიკის თითქმის ყველა დარგზე მოახდინა ნეგატიური ზემოქმედება.

პანდემიის გავლენა იდენტურია ყველა რეგიონში: შიდა მოხმარების, ვაჭრობის, ინვესტიციების და საზღვარგარეთიდან ტრანსფერების შემცირება. ხოლო იმ რეგიონებში, სადაც უპირატესად ტურიზმია განვითარებული, ეს გავლენა კიდევ უფრო ღრმა და ინტენსიურია. პანდემიით გამოწვეული ზიანი და მოსალოდნელი რისკები არაპროგნოზირებადი და მზარდია. ეკონომიკური იზოლაციები და შეზღუდვები ყველა მუნიციპალიტეტში საყოველთაო ტენდენცია გახდა, რისთვისაც ადგილობრივი მენარმეები მოუმზადებლები აღმოჩნდნენ.

პანდემიის თავისებურებაა ის, რომ იგი მოითხოვს მოკლევადიანი პრიორიტეტების გადასინჯვასა და აქცენტის გაკეთებას ისეთ მმართველობით გადანაცვებებებზე, რაზედაც ადრე ყურადღება არ იყო გამახვილებული. მათ შორის არის **სახელმწიფოს მხარდამჭერი ანტიკრიზისული ღონისძიებები**. მენარმეები ყველაზე დიდ საჭიროებას ხედავენ **სახელმწიფოს ფისკალურ-მონეტარულ მხარდაჭერაში**. იცვლება **სახელმწიფოს და მუნიციპალიტეტების როლი**. როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლება იძულებული ხდება, ანგარიში გაუწიოს ახალ რეალობას და აითვისოს ახალი ფუნქციები, მათ შორის, გააცნობიეროს ახალი გამოწვევები, გახდეს მცირე მენარმეთა მხარდამჭერი ინსტიტუტი და შესაბამისად, გადაანაწილოს ფისკალური ტვირთი მოსახლეობასა და ბიზნესზე. მენარმეები ცდილობენ იპოვონ მხარდაჭერა ხელისუფლებისაგან, რათა უზრუნველყონ წარმოების სიცოცხლისუნარიანობა. ამ მიზნით ისინი აქცენტს აკეთებენ ხელისუფლების მიერ სოციალური კაპიტალის ფლობაზე. ეს მნიშვნელოვანი ბერკეტია მენარმეობის გადასარჩენად. ბიზნესის ხელშემწყობი ღონისძიებები და მყარი და ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები, როგორცაა, მაგალითად, სოციალური შემწეობები, საგადასახადო შეღავათები, საპროცენტო სარგებლის დაფარვაში თანამონაწილეობა და სხვა, განსაკუთრებით ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას. ისინი მნიშვნელოვანია ეკონომიკისათვის, რადგან, გარკვეულ საზღვრებში, ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობათა ფართო მასშტაბით გაშლის საშუალებას იძლევა. დღეს ანტიკრიზისული ღონისძიებების ძირითად ბერკეტად სწორედ ხელისუფლება მოიაზრება, რაც ქმნის მენარმეებში ინერტული ლოდინის საფრთხეს. სახელმწიფო მხარდამჭერი პროგრამები შეზღუდულია კორონავირუსის ხანგრძლივობისა და ინტენსივობის ზრდის პროპორციულად, რამაც მომავალში კრიზისულ ვითარებაში შეიძლება ჩააყენოს ქვეყნის ხელისუფლება. მხოლოდ სახელმწიფოს ანტიკრიზისულ ღონისძიებებზე დამოკიდებულება რისკიანი ხდება, რადგან საჭარო ფინანსები ამონურვადია და ეკონომიკის ასაღორძინებლად მას ყოველთვის არასაკმარისი ეფექტი აქვს. არსებობს საფრთხე, რომ მომავალში ეკონომიკური საქმიანობის აღდგენა (რეცესიის შემდეგ სწრაფი აღორძინება) კვლავ კრიზისით შეიცვალოს, თუ ეკონომიკაში ერთობლივი მოთხოვნის გაზრდა და ინვესტირების სტიმულირება მხოლოდ საჭარო ფინანსებს დაეფუძნება.

**ციფრული ტექნოლოგიების** დანერგვა, როგორც პანდემიით გამოწვეული კრიზისის საწინააღმდეგო ღონისძიება, ყველაზე მოთხოვნადი გახდა და მრავალმა საწარმომ პროდუქტების გაყიდვა ამ ტექნოლოგიების საფუძველზე განავითარა. საწარმოებზე, რომლებმაც დანერგეს ინტერნეტქსელებით გაყიდვები, განსაკუთრებით ვაჭრობისა და კვების სფეროში,



პანდემიის გავლენა შედარებით ნაკლები იყო. კრიზისი ასტიმულირებს ახალი ტექნოლოგიებისა და ბიზნესმოდელების დანერგვას. მართალია, შეუძლებელია ეკონომიკური და მმართველობითი ურთიერთობების ციფრულ და დისტანციურ ფორმაზე სრულად გადასვლა, მაგრამ კარანტინის პირობებში მისი გამოყენება მაქსიმალურად უნდა მოხდეს. ადაპტაცია ქსელურ ტექნოლოგიებთან გარკვეულ დროსა და რესურსს მოითხოვს. გამოკითხვა აჩვენებს, რომ დისტანციური მართვის ინსტრუმენტები და სამეწარმეო უნარი, როგორც სოციალური კაპიტალი, არ არის ეფექტიანად გამოყენებული. როგორც ჩანს, დისტანციური მართვის შესახებ ინფორმაციის ფლობა საკმარისი არ არის ბიზნესის გასაძლიერებლად. ციფრული ტექნოლოგიები არ გამოიყენება მარკეტინგულ ურთიერთობებში, შესყიდვების განხორციელებაში, მომხმარებლებისთვის ინფორმაციის მიწოდებაში და სხვა. დისტანციური მართვის, როგორც კრიზისულ პერიოდში მენარმეობის წარმართვის ინსტრუმენტის გამოყენებით, შესაძლებელია ბიზნესის ზოგიერთი პრობლემის გადაჭრა.

დღეს საწარმოს მდგრადობა ეფუძნება **ციფრულ მენეჯმენტს**, ციფრულ ცოდნასა და ფინანსურ დისციპლინას. საქართველოში ბევრ ბიზნესორგანიზაციას არ შეუძლია საქმიანობის წარმართვა სათანადო ცოდნისა და უნარის არარსებობის გამო. **შესაბამისად**, საჭირო ხდება ციფრულ ბიზნესსაკითხებში და ანტიკრიზისულ მენეჯმენტში ცნობიერების ამაღლება იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს მენარმეობის უნარი და გაფართოვდეს კომერციული ურთიერთობები და პარტნიორობა ბიზნესქსელებთან. ასევე მნიშვნელოვანია ინფორმაციის მიწოდების არხების, საკონსულტაციო ინსტიტუტებისა და ქსელების განვითარება და სტრატეგიის დაგეგმვა, როგორც სახელმწიფო, ასევე სამეწარმეო სფეროში. ამასთან, კომპანიების მიერ მომხმარებლების შენარჩუნება მოითხოვს ახლებური კომუნიკაციის დამყარებას და საკომუნიკაციო არხების და სოციალური მედიის, მათ შორის, Facebook, Instagram და სხვა, ეფექტურ გამოყენებას. ამასთან, სულ უფრო მოთხოვნადი ხდება მობილური აპლიკაციით შეკვეთა და უკონტაქტო მომსახურება, ადგილზე მითანის სერვისის განვითარება, ქსელურ არხებზე გადასვლა, გაყიდვებისა და შესყიდვების ინტერნეტ-პლატფორმების გამოყენება, თანამშრომლობა ინტერნეტ-გაყიდვების გამოცდილ პლატფორმებთან (როგორცაა „გლოვო“, „ვოლტი“ და ა.შ.) და სხვა. ამ მომსახურების შეთავაზებით საფრთხეები და დანაკარგი მინიმუმამდე შეიძლება დავიდეს.

პანდემიამ საწარმოები (მენარმეები) მენეჯმენტის, სტრატეგიისა და სხვა მრავალი ფაქტორის გარდაქმნის საჭიროების წინაშე დააყენა. სოციალური პასუხისმგებლობის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს მომხმარებლებისა და თანამშრომლების სამედიცინო-ჰიგიენური უსაფრთხოება, სოციალურ-დისტანციური ნორმების დაცვა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების შესაბამისად. ამ მიზნით საჭირო ხდება თანამშრომლების დამატებით დაქირავება ახლად წარმოქმნილი ვალდებულებების შესასრულებლად, მათ შორის: დისტანციური მომსახურებების განწევა, დისტანციური მოლაპარაკებების წარმოება მიწოდებასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად, ტექნოლოგიური ცვლილებების განხორციელება, ადაპტირებული ბიზნესმოდელის შექმნა და სხვა. ახალი გამოწვევები მოითხოვს გარემოს სწრაფ შეცნობას, პრევენციული და ანტიკრიზისული გეგმების შედგენას, მენეჯმენტის სისტემის რეორგანიზაციას, ალიანსების შექმნას და სხვა.

რადგან საქართველოში ბიზნესის **ღირებულებითი ჯაჭვი** არ არის სტაბილური და მყარი, ამიტომ საწარმოების ურთიერთგავლენა არ არის ძლიერი და მნიშვნელოვანი. საწარმოები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განიცდიან პანდემიის ზემოქმედებას, რაც გამოწვეულია




ორი ფაქტორით — დისტანციური მართვის შეუძლებლობით და პროდუქციის წარმოების ისეთი შრომატევადი ციკლით, რაც ადამიანთა დიდი მასის ერთ ტერიტორიაზე ერთობლივ საქმიანობას ეფუძნება. პანდემიის გავლენა ძლიერია უპირატესად **შრომატევად დარგებში**. ამ მხრივ ყველაზე მეტად ტურიზმი დაზარალდა, ასევე — ის მცირე და საშუალო საწარ-


მოები, სადაც შრომატევადი პროდუქცია იწარმოება. ასეთი საწარმოები გაჩერდა დისტანციური მომსახურების გამოყოფენობის და მომხმარებელთა უსაფრთხოების დაცვის სიძვირის გამო, ასევე სხვა რისკების თავიდან ასაცილებლად.


## რეკომენდაციები

კვლევის ფარგლებში გამოკვეთილი საჭიროებებისა და ახალი გამოწვევების საპასუხოდ, რომელთა წინაშეც ადგილობრივი ეკონომიკა დადგა კორონავირუსის გავრცელების შედეგად, სასურველია შემდეგ ღონისძიებათა გატარება:


 ძლიერი ფისკალური ჩარევა, დახმარებები, გრანტები, საგადასახადო შეღავათები და სხვა. თუმცა, შემოთავაზებული ღონისძიებები არ არის იდეალური და ვერ იქნება ყოვლისმომცველი. საჯარო ფინანსებიც კლებადი გახდება კრიზისის განვითარებისა და ეპიდემიის ინტენსივობის შესაბამისად. ამიტომ მიზანშეწონილია **ხელისუფლების მხრიდან მიზნობრივი სუბსიდირება** ციფრული ეკონომიკის განვითარებასა და ტექნოლოგიების დანერგვაში. ამ მიზნით, მიზანშეწონილია, უნივერსალური დახმარებების შემცირებასთან ერთად, ფისკალური შეღავათების გავრცელება შერჩეულ დარგებში (განსაკუთრებით კი ტურიზმთან და ვაჭრობასთან დაკავშირებულ საწარმოებში), რაც სახელმწიფოს ფისკალურ და მონეტარულ ღონისძიებებს უფრო ეფექტიანსა და საწარმოთა სოციალურ პასუხისმგებლობას ქმედითს გახდის;


 **სახელმწიფო ხელშეწყობა ბიზნესის სფეროში ციფრული ტექნოლოგიების დასაწერად.** კომპანიები ცდილობენ თავიანთი ბიზნესმოდელების ადაპტირებას როგორც საჭიროების, ისე შესაძლებლობის მიხედვით. სამომხმარებლო პროდუქციის გაყიდვების გაზრდის მიზნით საჭიროა საწარმოები (განსაკუთრებით ვაჭრობის, რესტორნებისა და კვების ობიექტების, ასევე, სხვადასხვა სამრეწველო საქონლის მიმწოდებლები) გადავიდნენ ინტერნეტით მომსახურებებზე. ბიზნესის ელექტრონული კომერციის პლატფორმების განვითარება, როგორც მომხმარებელთან, ისე ბიზნესთან, უზრუნველყოფს მათი პროდუქციის რეალიზაციის ეფექტური გზების დანერგვას და მომარაგების ჯაჭვების ინტერნეტიზაციას. ცენტრალური და მუნიციპალური ხელისუფლების მიერ ინიცირებული პროექტები ამ ინსტრუმენტების გასაცნობად დაეხმარება მენარმეებს ციფრული მენარმეობის განვითარებაში;


 მენარმეების მიერ COVID-19-ზე რეაგირება დღეს მხოლოდ მოკლევადიანი და სპონტანური გადაწყვეტილებებით ხდება. თუმცა, მომავალში მენარმეების წარმატება მათ სტრატეგიულ გეგმებსა და რისკების მენეჯმენტზე იქნება დამოკიდებული. ეს განსაკუთრებით აქტუალურია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის. შესაბამისად, სასურველია სახელმწიფოს მიერ ფისკალური და მონეტარული ხელშეწყობა მხოლოდ იმ საწარმოებისთვის, რომელთაც ასეთი გრძელვადიანი სტრატეგიები აქვთ. ამ მიზნით აუცილებელია სამეცნიერო კვლევების და საუნივერსიტეტო და არასამთავრობო სექტორის საკონსულტაციო საქმიანობების სტიმულირება, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობას, მნიშვნელოვნად გაზრდის რის-



კებისადმი საწარმოების მდგრადობას. რადგან მენარმეებში სტრატეგიული გეგმების შემუშავების პრაქტიკა მცირეა, ამიტომ დახმარება და სხვადასხვა **საკონსულტაციო და საგანმანათლებლო ორგანიზაციის** ჩართულობის გაზრდა მნიშვნელოვნად გაზრდის და გააუმჯობესებს მენარმეების საქმიანობას. როგორც კვლევა გვიჩვენებს, ციფრული ეკონომიკის შესახებ ცოდნა სუსტია მენარმეებში და მისი შესაძლებლობები აქტიურად არ გამოიყენება ბიზნესის გადასარჩენად. აუცილებელი ხდება მენარმეებისთვის **ციფრული ეკონომიკის** კონკრეტული ტექნოლოგიების შეთავაზება, რომელიც მორგებული იქნება მათ საქმიანობას. **მუნიციპალიტეტების** მიერ ორგანიზებული შეხვედრები ექსპერტებთან, კონფერენციები და სხვა სახის ღონისძიებები ადგილობრივი მენარმეებისათვის გაზრდის როგორც ცნობიერების დონეს, ასევე დაეხმარება მათ სტრატეგიული მიზნების განსაზღვრაში;

 ღირებულებათა ზრდის პროცესში **პარტნიორობა** ელექტრონული ფორმატით და ინტერნეტით თანამშრომლობა საწარმოთა კლასტერებში არის კარგი შესაძლებლობა იმისა, რომ მოზიდული იქნეს ფინანსური და მატერიალური რესურსები და გაძლიერდეს საწარმოო ნაკადები ღირებულების ზრდის ერთი ჯაჭვიდან მეორეზე. იგი მიმზიდველს გახდის მთლიან ჯაჭვს ბანკებისა და სხვა საკრედიტო ინსტიტუტებისათვის კრედიტების გაცემაში, რაც დაეხმარება მენარმეებს მათი სიცოცხლისუნარიანობის განმტკიცებაში. მიზნობრივი თანამშრომლობა სამრეწველო ასოციაციებთან, სამთავრობო სააგენტოებთან, ტრენინგის და საკონსულტაციო ინსტიტუტებთან მისცემს მათ ღირებულების ჯაჭვში მონაწილეობის საშუალებას. მცირე და საშუალო მენარმეების განვითარების პროცესში არსებული ბარიერების გადალახვაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს როგორც მენარმეთა ბიზნესასოციაციების ფორმირება და განვითარება, ასევე ის ინსტიტუტები, რომლებიც დაეხმარებიან მენარმეებს განათლების, ინფორმაციების და სხვა მომსახურების მიღებასა და გაცვლაში. როგორც გამოკვლევები ცხადყოფს, რჩევებისთვის მცირე და საშუალო საწარმოების წარმომადგენლები იშვიათად მიმართავენ ბიზნესასოციაციებს<sup>25</sup>. ბიზნესასოციაციების მეშვეობით მცირე და საშუალო საწარმოებს შეუძლიათ უკეთესი გარემოს შექმნა და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება. ამდენად, აუცილებელია ბიზნესასოციაციების გაძლიერება, რაც ხელისუფლებასთან ერთად დონორი და საერთაშორისო ორგანიზაციების პრიორიტეტი შეიძლება გახდეს;

 ციფრული ეკონომიკის დანერგვის ღონისძიებების განხორციელებაში მნიშვნელოვანია **მუნიციპალიტეტების** ჩართულობა და განვითარების გრძელვადიანი ხედვის შემუშავება ახალ გამოწვევებზე რეაგირების მიზნით. აუცილებელი ხდება **მუნიციპალიტეტების საშუალო-ვადიანი და გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმების** რეორიენტაცია და იმ პრიორიტეტების შემუშავება, რომლებიც დაეხმარება ადგილობრივ მენარმეებს, საქმიანობა წარმართონ შეუფერხებლად, თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად;

 კვლევამ აჩვენა, რომ კრიზისების მართვის პროცესის უკეთ წარმართვისათვის აუცილებელია შემუშავდეს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისთვის სტანდარტული მეთოდოლოგია/რუკა პანდემიისა და სხვა კრიზისული სიტუაციების მართვის უზრუნველსაყოფად. სტანდარტულ მეთოდოლოგიაში/რუკაში ფორმირებული უნდა იქნეს ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციები, განხორციელებისა და შეფასების წესი. მნიშვნელოვანია, ამ მეთოდოლოგიის/რუკის შემუშავებისას განისაზღვროს ღონისძიებები, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს

<sup>25</sup> თოქმაზიშვილი მ. (2020), საქართველო-თურქეთის ეკონომიკური, ფინანსური და სამენარმო ურთიერთობები, თბილისის ღია უნივერსიტეტი.



ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის ეფექტიან კოორდინაციას პანდემიისა და სხვა კრიზისული სიტუაციების დროს, რომელიც დაეფუძნება ფუნქციების გამიჯვნას — სათანადო საგანგებო ბიუჯეტის უზრუნველყოფით.

## გამოყენებული ლიტერატურა

- ბაბიჩი ი., კეშელავა დ., მჭავანაძე გ. (2020), ეკონომიკური რეაგირება COVID-19-ზე: როგორ უმკლავდება გამოწვევას საქართველო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა.
- ბათიაშვილი ზ. (2020), კორონავირუსით გამოწვეული სირთულეები თურქეთში და მისი ასახვა საქართველოზე. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი (რონდელის ფონდი) <https://www.gfsis.org/ge/blog/view/1065>
- თოქმაზიშვილი მ. (2020), საქართველო-თურქეთის ეკონომიკური, ფინანსური და სამენარმეო ურთიერთობები. თბილისის ღია უნივერსიტეტი.
- ნიკა გილაური და კომპანია „რეფორმატიკი“ (2020), Corona ეკონომიკა, <https://forbes.ge/news/8192/Coronaekonomika?fbclid=IwAR3U8f0zYbulSKF85df99r1ibbAG-zqfmQv2zV2Gov5-r9DOQvdMGqAwEkEM>
- პაპავა ვ. (2020), საქართველოს ევროპული გზა პანდემიური დეგლობალიზაციის პირობებში. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი (რონდელის ფონდი), <https://www.gfsis.org/ge/blog/view/1091>
- საქართველოს ეროვნული ბანკი (2020) მონეტარული პოლიტიკის ანგარიში, მაისი, [https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/moneratyfiscal/2020/2020q2\\_geo\\_080520.pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/moneratyfiscal/2020/2020q2_geo_080520.pdf)
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2020), საწარმოთა საქმიანობის შედეგები (2020 წლის II კვარტალი).
- საქართველოს პარლამენტის კვლევების ცენტრი (2020), COVID-19-ის შესაძლო გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე (არსებული მდგომარეობა და პროგნოზების მიმოხილვა), 4 მაისი, 2020, N 03/08.
- ფავლენიშვილი ლ., ბურდული ა., კაცაძე მ., პაპავა ვ. (2020), COVID-19-ის სოციალური ეფექტი – უნივერსალური დახმარების შემოღების საფუძველი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა, [https://drive.google.com/file/d/1O\\_6b3eglhOXSeTzo-TLX8G90tRjh87E/\\_view](https://drive.google.com/file/d/1O_6b3eglhOXSeTzo-TLX8G90tRjh87E/_view)
- Brown G., Summers L.H. (2020), Debt Relief Is the Most Effective Pandemic Aid, Project Syndicate, [https://www.project-syndicate.org/commentary/debt-relief-most-effective-covid19-assistance-by-gordon-brown-and-lawrence-h-summers-202004?utm\\_source=Project+Syndicate+News-letter&utm\\_campaign=6ea3a6f0d6-sunday-newsletter\\_19\\_04\\_2020&utm\\_medium=e-mail&utm\\_term=0\\_73bad5b7d8-6ea3a6f0d6-93567601&mc\\_cid=6ea3a6f0d6&mc\\_eid=e9fb-6cbcc0](https://www.project-syndicate.org/commentary/debt-relief-most-effective-covid19-assistance-by-gordon-brown-and-lawrence-h-summers-202004?utm_source=Project+Syndicate+News-letter&utm_campaign=6ea3a6f0d6-sunday-newsletter_19_04_2020&utm_medium=e-mail&utm_term=0_73bad5b7d8-6ea3a6f0d6-93567601&mc_cid=6ea3a6f0d6&mc_eid=e9fb-6cbcc0)
- Bruegel Datasets (2020), The fiscal response to the economic fallout from the coronavirus, Last update: 5 August 2020, <https://www.bruegel.org/publications/datasets/covid-national-dataset/>
- Krugman, P. (2020), The New York Times Opinion, 25 August 2020. [https://messaging-custom-newsletters.nytimes.com/template/oakv2?campaign\\_id=116&emc=edit\\_pk\\_20200825&instance\\_id=21590&nl=paul-krugman&pro-ductCode=PK&regi\\_id=111212561&segment\\_id=36891&te=1&uri=nyt%3A%2F%2F-newsletter%2F3919b3b0-93aa-5035-a68b-7b5dc278cd46&user\\_id=b51cbaa4596c-28cdfa168c7b9fc3ba8b](https://messaging-custom-newsletters.nytimes.com/template/oakv2?campaign_id=116&emc=edit_pk_20200825&instance_id=21590&nl=paul-krugman&pro-ductCode=PK&regi_id=111212561&segment_id=36891&te=1&uri=nyt%3A%2F%2F-newsletter%2F3919b3b0-93aa-5035-a68b-7b5dc278cd46&user_id=b51cbaa4596c-28cdfa168c7b9fc3ba8b)
- Narayanan Gopalakrishnan B., Peters R., Vanzetti D. (2020), COVID-19 and Tourism, Assessing the Economic Consequences. UNCTAD, [https://unctad.org/system/files/official-document/ditcinf2020d3\\_en.pdf](https://unctad.org/system/files/official-document/ditcinf2020d3_en.pdf)
- Roach, St. (2020), America's Coming Double Dip Project Syndicate, <https://www.project-syndicate.org/commentary/pandemic-impact-on-demand-stifles-us-recovery-by-stephen-roach-2020-08>
- Skidelsky, R., The Crowding-Out Myth Project Syndicate, 24 August, 2020, [https://www.project-syndicate.org/commentary/public-investment-private-capital-crowding-out-myth-by-robert-skidelsky-2020-08?utm\\_source=Project+Syndicate+Newsletter&utm\\_campaign=84fdc5db75-sunday-newsletter\\_30\\_08\\_2020&utm\\_medium=email&utm\\_term=0\\_73bad5b7d8-84fdc5db75-93567601&mc\\_cid=84fdc5db75&mc\\_eid=e9fb6cbcc0](https://www.project-syndicate.org/commentary/public-investment-private-capital-crowding-out-myth-by-robert-skidelsky-2020-08?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=84fdc5db75-sunday-newsletter_30_08_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-84fdc5db75-93567601&mc_cid=84fdc5db75&mc_eid=e9fb6cbcc0)
- World Bank Group (2020), Global Economic Prospects.
- Worldometer (2020), COVID-19 CORONAVIRUS PANDEMIC, <https://www.worldometers.info/coronavirus/>

